ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 9

კვირა, 30 აპრილი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

წლის დამლევამდის ღირს ტფილისსა და ტფილისს გარეშე გაგზავნით **3** მან., 5 თვით — **2** მან. თითო № 10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція газ. „ИВЕРІА“.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შრომა

სურათებიანის დამატებით

პირველ მაისიდან წლის დამლევამდის ღირს 4 მან.

კანტორის ადრესი: ტფილისი, ვანქის დიდი, ქუჩა სახლი № 13.

ქართული წარმოდგენა დილით სახალხო თეატრში

ღღეს, 30 აპრილს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება, ორი ახალი პიესა

ზალზი

სცენები 4 მოქმედებად პლატონისა თარგ. ვ. შალიკაშვილის მიერ.

კოზტა კაცი

ვოდევილი 1 მოქმედებად ბურაკოვსკისა თარგ. ვ. შალიკაშვილის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქბ-ნი დ. ივანიძე, ა. კოგგარეთელი, ოლ. ლეჟავა მ. მდივანი, ა. ნებიერიძე, ნ. ჯავახიშვილი, თინა ჩარკვიანი.

ბ-ნნი: დ. ბაქრაძე ვ. გუნია გ. გედეონოვი, ნ. გვარაძე, შ. დადიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ვ. შალიკაშვილი.

წარმოდგენა დაიწყება 12 საათზე დღისით.

ადგილების ფასი: ჩვეულებრივია. შეგირდებისათვის 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ბორტერტურაზეს“ ფაბრიკის მუშების ცხოვრებიდან.

ადმინისტრატორი ვ. გუნია.—რეჟისორი ვ. ალექსი მესხიშვილი.

სარჩევი:—**საგულისხმიერო კამათი**, ფ. გოგიჩაიშვილისა.—**ვიტტე-დურნოვოს გადაყენება**, კ.—სა—**პოლიტიკური პარტია და სექტანტობა**, უ. რაველისა.—**ცეცხლითა და მახვილითა**, სვ. ყ—ნისა. **ქართული კულტურა**, არტურ ლეისტი'ა.—**ჩარტისტთა მოძრაობა**, ა—სა.—**სოციალისტური მოძრაობა ამერიკაში**, ნ. ტ—სა.—**ქალთა მოძრაობის ისტორიიდან**, მ. ა—სა.—**უსაფუძვლო შიში**, სვ. ყ—ნისა.

საგულისხმიერო კამათი.

იმ პოლიტიკურმა ცვლილებამ, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ დროს, ძალიან ცუდი სამსახური გაუწია ზოგიერთ მწერლებს და „მერეჩეებსაც“. იმ გარემოებამ, რომ ღღეს შედარებით უფრო თავისუფლად შეიძლება წერაც და ლაპარაკიც, მათ წაართვა თავის გასამართლებელი საბაბი ბუნდოვანად წერის და ლაპარაკისა. წინად „წერალი, რომელიც აზრებზე ხელმოკლედ ბრძანდებოდა, გაჭირვების დროს ნაწერში მრავალ წერტილებს მოუყრიდა თავს და ამ სახით მკითხველს აგრძნობინებდა, - სათქმელი ბევრი მაქვს, რომ „გარემოება“ ნებას მაძლევდესო. და ეს „გარეგანი გარემოება“ ხშირად ჰფარავდა მწერლის „შინაგან გარემოებას“, და მკითხველი ვერ ხედავდა, რომ უცენზუროდაც ამგვარ მწერლის ნაწერი, აზრ-შინაარსის მხრით, მჭლე და მდარე იქნებოდა. ასევე, არა ერთი და ორი „მერეჩე“ წინად ცარიელ ლიბერალურ ფრაზებით იოლად გადიოდა, ვინაიდან ეზოპისებურ ქარაგმიან ენას შეჩვეული მსმენელი ამ ფრაზებს თავისებურად ხსნიდა და გასაგებად კომენტარიებს უკეთებდა.

მაგრამ ეს დრო აწ უკვე ისტორიას ჩაბარდა და ღღეს ყოველი მწერალი და ორატორი იძულებულია ნათლად წეროს და ილაპარაკოს და ამიტომ მას აღარ შეუძლია წინანდებულად თავისი უვიცობა ან ფარული განზრახვა დამალოს ან გადაიფუჩეჩოს. ღღეს ყველა, ვინც საზოგადო ასპარეზზე გამოდის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე აქტივურ მონაწილეობის მიღებას ცდილობს, იძულებულია კეკე-მალულობიაზე ხელი აიღოს და თავის მისწრაფების საპირეცა და სარჩულიც გამოაშკარავოს. და, აი, სწორედ ამიტომ ღღეს დაუფარავად მზეზე გამოდის და ყველასთვის დასანახი ხდება ბევრი ისეთი რამ, რის დანახვაც წინად მხოლოდ განსაკუთრებულ დაკვირვებით და ლოღიკურ ანალიზით იყო შესაძლებელი. ამავე მიზეზის გამო განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფთა არა ერთი და ორი მისწრაფება, რომელიც წინად ლიბერალურ ფრაზეოლოგიაში იყო გახვეული, ახლა აშკარავდება და მისი არსებით ბუნების შესახებ ორაზროვნობასა და გაურკვევლობას ამის შემდეგ, იმედია, ჩვენს საზოგადოებაში ადგილი აღარ ექნება.

ამ წერილში ჩვენ გვინდა მარტო ერთი ასე „გამომზეეებული“ მისწრაფება ჩვენის მეზობლებისა აღვნიშნოთ და მკითხველს მისი აზრი განვუმარტოთ. ეს ბევრის მხრით საგულისხმიეროა ჩვენთვის,—ქართველებისთვის.

მოგეხსენებათ, ტფილისში ამას წინად კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტია დაარსდა. ამ პარტიას იგივე პროგრამა აქვს სახელმძღვანელოდ მიღებული, რომელიც რუსეთში „კადეტებმა“ შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს. ეროვნულ საკითხის შესახებ კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პროგრამა პრინციპიალურად აღიარებს არა-რუს ეროვნებათათვის პოლიტიკურ ავტონომიას, ასე რომ, ვინც ამ პროგრამას მტკიცედ ადგია და მას სავსებით იცავს, რომელიმე ეროვნებისაგან დემოკრატიულ ავტონომიის მოთხოვნას წინ ვერ აღუდგება.

მაგრამ ეს გახლავთ ქაღალდზე დაწერილი პროგრამა და ქაღალდზე კი, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერი დაიწერება. საქმე პრაქტიკული მოქმედებაა და ამიტომ რაიმე პროგრამას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი და მნიშვნელობა, როცა მისი აღმსარებელი ცხოვრებაშიაც ცდილობს მის განხორციელებას. ტფილისის კადეტებს კი, რომელნიც უმთავრესად სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან შესდგებიან, ამ საგნის შესახებ თავიანთი „მოსაზრება“ აქვთ და ამიტომ, როცა საკითხი ავტონომიაზე მიდგება ხოლმე, პარტიის პროგრამას მოსკოველებს უტოვებენ, ხოლო თვითონ ძველებურად—მათებურად საქმიანობენ...

აგერ სამი კვირეა,—კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში გაცხარებული კამათია გამართული კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ავტონომიის შესახებ. ეს კამათი გამოიწვია იმ რეფერატმა, რომელიც თავ. გ. თუმანოვმა წაიკითხა ხსენებულ საზოგადოებაში. ლექტორმა, რომელიც ტფილისის კადეტთა პარტიის ერთი მეთაურთაგანია, დაახლოვებით ის აზრი გამოთქვა, რომ უნდა დაწესდეს საერთოდ კავკასიის ერთი პოლიტიკური ავტონომია, ხოლო კავკასიაში მცხოვრებ ეროვნებათ ექსტერიტორიული კულტურული ავტონომია უნდა მიენიჭოთო.

დღეს ჩვენში ბავშვმაც კი იცის, რომ ექსტერიტორიულ ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა მხოლოდ ისეთ ეროვნებას შეუძლია, რომელსაც მთლიანი ტერიტორია არ აქვს და სხვა ერებში გაბნეულად არის ჩასახლებული. კავკასიაში სომხობა ერთ მთლიან ტერიტორიაზე არაა დასახლებული და ამიტომ მათთვის ძნელია ტერიტორიულ-ეროვნულ ავტონომიის განხორციელება, მათთვის ხელსაყრელია „განუყოფელი“ კავკასია, როგორც რუს „პატრიოტებისთვის“ — „განუყოფელი“ რუსეთი, ხოლო მთელი სომხობის — ექსტრიტორიულად (ე. ი. მთელს კავკასიაში) გაერთიანება. ყველაფერი ეს ადვილი გასაგებია.

ძნელი გასაგები და საკვირველი ის გახლავთ, რომ ქართველებისათვისაც, რომელთაც დღესაც უჭირავთ ტერიტორია, თურმე ტერიტორიულ ეროვნული ავტონომია არ მოხერხდება და საერთო კავკასიის ავტონომიაში მხოლოდ „ექსტერიტორიულად“ უნდა იქმნენ შეერთებული. ბ-ნი ქ. ვერმიშევი გაცხარებით ამტკიცებდა, რომ კავკასიის ერებს ყოველ მხრივ საერთო ინტერესები აქვთ და ამიტომ ყველა მათ მხოლოდ ერთი პოლიტიკური ავტონომია უნდა ჰქონდეთო. „ბევრია საერთო საკითხი კავკასიის ერებისათვის,—სთქვა მან, სხვათა შორის.—მაგალითებს ისტორიიდანაც მოვიყვანთ. საქართველოს მეფეები ყოველთვის ცდილობდენ ტერიტორიის გაფართოებას, რომ მეზობელთან ერთად ქართველ ხალხს უზრუნველ ეყო თავი მტრისაგან. საქართველომ თავისი ბედი რუსეთს ჩაბარა, რუსეთმა საქართველოს არსებობის უზრუნველსაყოფელად (?!) მთელი კავკასია დაიპყრო. ქართველთათვის სასარგებლო არ არის განკერძოვება. კავკასიის ერთა შორის ნათესაობაა, ქართულ ენიდან მრავალი სიტყვაა გადასული სომხურ ენაში და აგრეთვე სომხურიდან ქართულში. გარდა ამისა, ერთი კუთხე კავკასიისა მეორეს აწვდის საქონელს, მუშა ვრცელს ტერიტორიაზე ადვილად გადავა და გადმოვა. თითოეულ ერს ცალკე გაუჭირდება კულტურულ ცენტრის შექმნა... ვინ იცის, მომავალში როგორ დატრიალდება საქმე. შეიძლება სპარსეთმა და ოსმალეთმა კიდევ რამე განიზრახონ კავკასიის შესახებ და განკერძოვება ქართველთა და სხვათა მათთვის ხელსაყრელი იქნება.“

რასაკვირველია, ყველა ამ „საბუთებით“ არა თუ საქართველოს ავტონომიისა, არამედ კავკასიის ავტონომიის უარისყოფაც შეიძლება. „განუყოფელ“ რუსეთის მომხრე რუს „პატრიოტსაც“ შეუძლია ბ-ნ ვერმიშევისავით თქვას: „ბევრია საერთო საკითხი რუსეთში მცხოვრებ ერებისათვის, რომელნიც ერთ სახელმწიფოს წევრებს შეადგენენ. ძველად თქვენი მეფეები აფართოებდენ ტერიტორიას, რომ სხვასთან შეერთებით უზრუნველ ეყოთ თავი მტრისაგან. თქვენც რუსეთის ცენტრთან უნდა იყოთ ყოველ მხრივ შეერთებული, რათა არ გძლიონ მტრებმა. რუსულსა და თქვენს ენებს შორის ნათესაობაა. ქართულ და სომხურ ენიდან სიტყვებიცაა გადასული რუსულ ენაში. სახლს ჩვენც „საკლიას“ ვეძახით, სომხური და რუსული ენა ერთ ინდო-ევროპიულ ენების ოჯახს ეკუთვნის. გარდა ამისა, ერთი კუთხე რუსეთისა მეორეს აწვდის საქონელს, მუშა ვრცელს ტერიტორიაზე ადვილად გადავა და გადმოვა. თითოეულ ერს ცალკე გაუჭირდება კულტურულ ცენტრის შექმნა... ვინ იცის, მომავალში იქნება სპარსეთმა და ოსმალეთმა ხელი გამოსწიონ კავკასიისაკენ და კავკასიელთა განკერძოვება მათთვის ხელსაყრელი იქნება.“

როგორც ხედავთ, იგივე საბუთი ისევე „კარგად“ გამოდგება რუს „პატრიოტის“ ხელში კავკასიის ავტონომიის უარსაყოფელად, როგოც ბ-ნ ვერმიშევის ხელში იმავე ავტონომიის საჭიროების დასამტკიცებლად. და, როგორ გგონიათ, ბ-ნ ვერმიშევს, რომელიც ჭკუიანი და განათლებული კაცია, განა არ ესმის ამგვარ „საბუთების“ უაზრობა? ეს ჩვენ არ გვჯერა: ასეთ უაზრობის მიზეზი არის საქართველოს ავტონომიის დაფოლების სურვილი და არა ავტორის უვიცობა.

ის, რაც ბ-ნმა ვერმიშევმა, საქართველოს ავტონომიის მიზეზით, მომავალ დროისთვის სცნო შესაძლებლად, მეორე ორატორს—ბ-ნ ადელხანოვს—დღესვე უკვე ფაქტად მოეჩვენა. ბ-ნი ვერმიშევი სპარსეთსა და ოსმალეთზე ამბობდა, როცა საქართველო ავტონომიას მოიპოვებს, წამოვლენ და ხელში ჩაგიგდებენო. ბ-ნ ადელხანოვის სიტყვით კი უკვე დღეს მოდის თურმე კავკასიის წინააღმდეგ... და იცით, ვინ?.. იაპონიის იმპერატორი თავის ლაშქრით! აი დაუგდეთ ყური: „რა დროს ავტონომიაა,—შეშინებული იძახდა ხსენებული ორატორი,—როდესაც მთელი აღმოსავლეთი შეერთებას აპირებს? მაჰმადიანთა ქვეყნები პანისლამიზნით იჟღინთებიან და დღეს თუ ხვალ ქრისტიანულ დასავლეთზე წამოვლენ იერიშით. იაპონიის იმპერატორმა მაჰმადის სარწმუნოება მიიღო. შესაძლებელია, ძლიერ იაპონიის მეთაურობით წამოვიდენ ჩვენზე, ამიტომ ჩვენ უნდა უარვყოთ ავტონომია და შევერთდეთ, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ მტერს“...

ერთის სიტყვით, საქართველოს ავტონომია ყოველგვარ უბედურობის მომასწავებელი ყოფილა ახლაც და მომავალშიაც. ხსნა თურმე არის მთლიან კავკასიის ავტონომიაში,—მაშინ—თუ კავკასიის ავტონომია განხორციელდა,—დავამარცხებთ

იაპონიასაც, რომელიც, — გაუგია რა, რომ საქართველოში ავტონომია უნდა შემოიღონო, — დღესვე კავკასიაში ჯარს აგზავნის თურმე ჩვენს დასაპყრობად.

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს საშინელი ხიფათი არ არის მოსალოდნელი, და ეს არა იმიტომ, ვითომ იაპონიის იმპერატორს თავის განზრახვაზე ხელი აეღოს, არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართველი ერი არ არსებობს და, მაშასადმე, არც საქართველოს ავტონომია არის შესაძლებელი. ასეთი „მოსაზრებით“ დაამშვიდა კრება ერთმა ორატორმა, გვარად ალიბეგოვმა. ამან განაცხადა: ამბობენ, საქართველოში ქართველობაა დასახლებულიო. „ეს მართალი არ არის, — საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ერი ცხოვრობს: მაგ. გურულები, იმერლები, მეგრელები, ქართლელები“...

ხომ ხედავთ, რამდენი სხვა და სხვა „ერი“ ყოფილა საქართველოში. მკითხველო, ამას რომ ვინმე რუსი ამბობდეს პეტერბურგში ან გერმანელი ბერლინში, მაინცა და მაინც არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ რას იტყვით იმ უტიფარ კაცზე, რომელიც ჩვენში დაბადებულა, ჩვენში აღზრდილა, პატარაობიდანვე ქართული ლაპარაკი ქართველსავით შეუთვისებია და თავისი „სომხობა“ მხოლოდ შემდეგში, ცნობიერებით მოპოებულ პატრიოტიზმით გაუგია, რას იტყვით ისეთ კაცზე, რომელიც დაბადებიდანვე კარგად იცნობს ქართველ ხალხს და, მიუხედავად ამისა, გაუწითლებლად აცხადებს — და ისიც ტფილისში, — გურული, იმერელი, მეგრელი, ქართლელი, კახელი სხვა და სხვა „ერები“ არიანო? ვინმემ იქნება სთქვას, ერთის სისულელეს ყველას თავზე ვერ მოვახვევთო, მაგრამ შეცდომაა, თუ გგონიათ, რომ ბ-ნი ალიბეგოვი ერთად-ერთი მაგალითია ჩვენს მეზობლებში. მეორე გნებავთ? თქვენ ალბად გაგიგონიათ ექიმი ნ. ხუდადოვი, — აი ის ხუდადოვი, რომელიც ხშირად „დემოკრატიულ“ „რეჩებს“ ამბობს ტფილისის ქალაქის საბჭოში. ეს ბ-ნი ხუდადოვიც საქართველოში დაბადებული და აღზრდილი გახლავთ, სომხური იმდენადვე იცის, რამდენადაც ჩვენ — ჩინური, და აი ამ, ჩვენში დაბადებულ და აღზრდილ, ბ-ნ ხუდადოვს რომ ჰკითხოთ, მოგახსენებთ, რომ მას „კრანიოლოგიური გამოკვლევა“ მოუხდენია და დარწმუნებულა, რომ ქართველები, კახელები, იმერლები და გურულები სულ სხვა და სხვა ჯიშისა და ეროვნების ხალხნი არიან!...

თქვენ ალბად ეს გაგიკვირდებათ, მაგრამ გაგიკვირდებათ მხოლოდ იმიტომ, რომ საგარეო პოლიტიკაში და „კრანიოლოგიაში“ გაწაფული არ ხართ და არ იცით, რომ საქართველოს ავტონომია იაპონიის იმპერატორს საომრად ამხედრებს და ბ-ნ ალიბეგოვს („უკრანიოლოგიოდ“) და ხუდადოვს („კრანიოლოგიით“) მეცნიერულ აღმოჩენას ახდენინებს.

და ამგვარ აღმოჩენას „აკეთებს“ ისეთი ხალხი, რომელიც უსსოვარ დროიდან წინაპრებით ქართველებში ყოფილა დასახლებული და ქართველებთან ერთად განუცდია ისტორიული ბედ-იღბალი. ეს ხალხი, ზოგი უკრანიოლოგიოდ და ზოგიც კრანიოლოგიით, ქართველ ერის არ არსებობას ამტკიცებს ხმამაღლა, ქართველებისავე თვალწინ, იმ საფუძვლით, რომ სხვა და სხვა კუთხეებში მცხოვრები ქართველები ლაპარაკის კილოთი ან წვერ-ულვაშისა და თმის ფერით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, და იმავე დროს იგივე ხალხი პატრიოტულს აღტყინებაში მოდის, როცა ერთ ოსმალეთიდან გადმოსულ სომეხს დაინახავენ ან სპარსეთში მცხოვრებ სომხობას გაიხსენებენ, რომელთანაც მათ არა თუ თმის ფერი, არამედ ენაც კი არ აერთებს. აქ „გამოუკვლევლადაც“ შესაძლებელია თურმე ეროვნულ ნათესაობის შემეცნება, რასაც ჩვენ, ქართველებს, გვიკრძალავს ის ჩვენი მტერი „კრანიოლოგია“. ამ რამდენიმე კვირის წინად ერთმა სომხის ინტელიგენტმა, რომელსაც მთელი კავკასია იცნობს, მაგრამ სახელდობრ ჩვენ მაინც არ დავასახელებთ, ასეთი თხოვნით მიმართა ერთს შთამომავლობით სომეხ მანდილოსანს: ახლა სარწმუნოების თავისუფლებაა და შენი შვილი, რომელიც „ქართულად“ არის მონათლული, სომხის რჯულზე მონათლე და გაასომხეო. ამ პატრიოტ ინტელიგენტს შესაძლებლად მიაჩნია ქართველის შვილი, რომელიც უკვე სრულწლოვანი და საკუთარ აზრ-შეხედულების მქონეა, „მონათვლით“ სომხად გადააქციოს, ხოლო ქართველებს 1500 წლის ნათლობაც არ შველით და „გურულ, მეგრელ, იმერელ, კახელ და ქართლელ ერებს“ ვერ აერთიანებს და ერთ ეროვნებად ვერ ხდის.

ანდაზად იტყვიან: ყველა გზები რომში მიდისო, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ანდაზა ზოგ ხალხის შესახებაა მართალი. ჩვენს მეზობლებში მართლაც ყველა გზები რომში მიდის... იმ საფუძვლით, რომ საქართველოში აქა-იქ სომხობაცაა ჩასახლებული, იმათ საქართველოს ავტონომია თავის სასარგებლოდ არ მიაჩნიათ. ეროვნული ავტონომია და თვითმართველობა ქართველ ერის ხალხისნურ გაღონიერებას ნიშნავს, რაც ჩვენში და ჩვენს გვერდით მცხოვრებ მეზობლებს თავიანთ „ექსტერიტორიულ“ ეროვნულ გაერთიანების დამბრკოლებელი გარემოება ჰგონიათ. მართალია თუ ტყუილი ეს აზრი, ყოველ შემთხვევაში ასეთი შეხედულება, განსაზღვრულ ეროვნულ ინტერესის შეგნებაზე დამყარებული, დღეს გავრცელებულია მთელს სომხობაში. და აქ, თავიანთ ეროვნულ სარგებლობის საქმეში, როგორადაც ეს მათ ესმით, შეთანხმებულნი არიან ყველა პარტიისა და მიმართულების კაცნი. წარმოიდგინეთ, საქართველოს ავტონომიის მტრობით „ტფილისის ფურცელიც“ კი გასოციალდემოკრატდა ერთის დღით და გაიძახის (№ 88): „ძირს ეროვნული ავტონომია და ავტონომისტები, ძირს ნიღაბ აფარებული ნაციონალისტები, გაუმარჯოს ფართო ადგილობრივ და ოლქობრივ თვითმართველობასო.“ ერთის სიტყვით, სომხებში საკუთარ ეროვნულ საქმის შესახებ სრული ერთსულოვნობა და თანხმობა არსებობს. სომეხთა მოსახლობის განაწილება კავკასიაში შეუძლებლად ხდის მათთვის ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას და ამიტომ ყველა ჯგუფები და კლასები ისეთ პოლიტიკურ წყობილებას ეტრფიან, რომელიც საუკეთესოდ დაკმაყოფილებს მათს ეროვნულ მისწრაფებას. მათში სწორედ ყოველ გზას ადამიანი რომში მიჰყავს.

ჩვენში? მაგრამ განა არ იცით, — ჩვენში გზები ამ მხრით ჯერ კიდევ დახლართულია, და ალიბეგოვები თავიანთ უტიფრობას არ მოიშლიან, სანამ ჩვენი ეროვნული გზები არ დაიწყობა და სისწორით „რომისკენ“ ე. ი. ეროვნულ თვითგამორკვევისკენ არ წარიმართება...

ფ. კოგანიშვილი

ᲕᲘᲢᲢᲔ-ᲓᲣᲠᲜᲝᲕᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐ

ვიტტე სამსახურიდან გადადგა... ამაზე ლაპარაკობს ახლა ყველა, ვინც ცოტაოდნად მაინც თვალ-ყურს ადევნებს საზოგადო ცხოვრებას. ვიტტესთან ერთად სამსახურიდან გავიდა დურნოვო და დანარჩენ მინისტრების უმეტესობა. ამ ამბის გაგონებაზე თავისუფლად ამოისუნთქა ყველამ, ვინც პირველად დიდის იმედით შესცქეროდა ვიტტეს მოღვაწეო-

ბას, ვინც შემდეგ შეძრწუნებული ხედავდა მთავრობის ძალ-მომრეობას და რეაქციის გაბატონებას.

მინისტრების გადადგომას და მათ მაგიერად ახალ სამინისტრო-კაბინეტის შედგენას დასავლეთ ევროპაში, სადაც საპარლამენტო წეს-წყობილება არის შემოღებული და სადაც მინისტრები ხალხის წარმომადგენელთა წინაშე პასუხის მგებელნი არიან, თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვს. იქ სამინისტრო წარმომადგენელთა უმეტესობის სურვილებს გამოხატავს და სამსახურში რჩება, სანამ პარლამენტში მისი მხარის დამჭერი უმეტესობა პატონობს. მინისტრებისაგან რამე შაცდომის ან ბოროტ-მოქმედების ჩადენა იქ საკმარისია იმისთვის, რომ პარლამენტის უმეტესობამ მათ პასუხი მოსთხოვოს, უნდობლობა გამოუცხადოს და სამსახურიდან გადაიყენოს.

რუსეთში, სადაც საპარლამენტო ცხოვრება ეხლა-ღა შემოდის და სადაც ხალხი ვიტტე—დურნოვოს უნდობლობას უცხადებს, მათი გადაყენება და მთავრობისაგან ახალ სამინისტრო-კაბინეტის შედგენა შეიძლება საკონსტიტუციო აქტად ჩასთვალოს ადამიანმა და მართლაც ასე იქცევა ზოგიერთი გაზეთი, რომელიც, კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის გამარჯვებით გატაცებული, აცხადებს, რომ მთავრობა იძულებული შეიქნა სამინისტრო შეეცვალა, ახალ საკონსტიტუციო სამინისტროს შესადგენადო.

ეს რომ მართალი არ არის და ვიტტე-დურნოვოს გადაყენებას რომ არავითარი საკონსტიტუციო ხასიათი არა აქვს, ამას ამტკიცებს, ერთის მხრივ, ის გარემოება, რომ მთავრობა ქება-დიდებით იხსენიებს ორივეს, მადლობას უძღვნის და მათ მოქმედებაში ვერავითარ ნაკლს ვერ აღნიშნავს,—და, მეორეს მხრივ კი, ის გარემოება, რომ ახალი მინისტრები თავიანთ მიმართულებით ძირითადად არ განსხვავდებიან გადაყენებულ მინისტრებისგან. ახალი მინისტრები იგივე მთავრობის ერთგული ძველი რაჟიმის დამცველები არიან, როგორც ვიტტე იყო, რომელიც მოხერხებით სცდილობდა ახალ ძალების დამარცხებას, და დურნოვო, რომელიც აშკარა სისასტიკეს არჩევდა. ამ მინისტრების გამოცვლაში მთავრობა იგივე თვითმპყრობელია, როგორიც უწინ ყოფილა, მან ერთი კვირის მოცდაც არ მოისურვა, რომ საშუალება მიეცა ხალხის წარმომადგენლებისთვის კერძოდ მაინც დაესახელებინათ, თუ ვინ არის მათთვის მინისტრებად სასურველი და სანდო. მთავრობის მოქმედება არ გამოცვლილა, ერთ თავის ერთგულ მოსამსახურეს მაგიერად მან მხოლოდ დაიყენა მეორე ერთგულივე მოსამსახურე..

მაშ რა მნიშვნელობა აქვს ვიტტეს და დურნოვოს გადაყენებას? გაზეთებში ხმა იქმნა გავრცელებული, ვიტტე სამსახურიდან გადის იმის გამო, რომ მის „ლიბერალობას“ ფრთა შეუკვეცეს სხვა მინისტრებმა, რომ მან ვერ შესძლო იმ რეფორმების განხორციელება, რომელიც რუსეთის საკეთილდღეოდ მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ, მას, მაგ , სურდა რუსეთში სამხედრო წესების მოსპობა და ყოველგვარ სამოქალაქო თავისუფლებისათვის შესაფერ ნიადაგის შექმა, მაგრამ მისი საამისო ცდა ამაო შეიქმნაო... ამიტომ ვიტტე, როგორც ლიბერალი მინისტრი, ვერ უთანხმდებოდა თავის არა ლიბერალ ამხანაგებს და განსაკუთრებით დურნოვოსო, ამბობენ გაზეთები. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ვიტტესთან ერთად სამსახურიდან გადიან ის მინისტრებიც, რომელნიც თითქო ხელს უშლიდენ მის ლიბერალ რეფორმების განხორციელებას, სხვებთან ერთად გადის დურნოვოც, რომელიც თითქო წინ ეღობებოდა ვიტტეს ლიბერალობას. ასე გამოდის, რომ ვიტტე ვერ შეუთანხმდა მთავრობას, როგორც ლიბერალი, და დურნოვო კი, როგორც რეაქციონერი,—მთავრობა არც ლიბერალი ყოფილა და არც რეაქციონერი. ეს კი უაზრობაა და ამიტომ ძალაუნებურად ეკვის თვალით ვუყურებთ იმათ, ვინც ირწმუნება, რომ ვიტტე თავის ლიბერალობის გამო გადის სამსახურიდან.

ვიტტე-დურნოვოს გამოცვლას არავითარი ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, ეს გამოცვლა არ ნიშნავს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ მიმართულების შექმნას, ახალ ძალების გაბატონებას სახელმწიფოში. რუსეთში მთავრობის მიმართულებას ეს ორი კაცი არ ქმნიდა,—ვიტტე და დურნოვო მხოლოდ მმართველ წრეების, გაბატონებულ ჯგუფების გარეგანი გამოხატულობა იყვნენ და გამოსთქვამდენ იმას, რასაც ფიქრობდენ მმართველი წრეები. სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ ამ წრეების დამარცხებას მოჰყვება. ამიტომ საზოგადოების ყურადღება ამ წრეების მდგომარეობას უნდა მიექცეს და ამა თუ იმ პირის მინისტრად დაყენებამ ან მინისტრობიდან გადაყენებამ თვალი არ უნდა აუხვიოს ხალხს და არ უნდა დაავიწყებინოს, რომ სანამ მინისტრები ხალხის წარმომადგენელთა წინაშე არ იქმნებიან პასუხისმგებელნი, სანამ ხალხის წარმომადგენლებს არ მიეცემათ უფლება ანგარიში მოსთხოვონ მთავრობას და სამინისტროს, სანამ მინისტრების დაყენება ან გადაყენება მხოლოდ თვითმპყრობელ მეფის სურვილზე დამოკიდებული იქნება, არ შეიძლება ლაპარაკი მთავრობის პოლიტიკის შეცვლაზე, იქაც კი, სადაც მთავრობა, მოსაჩვენებლად და ხალხის დასამშვიდებლად, ერთ მინისტრის მაგიერად მეორეს აყენებს.

ვიტტე-დურნოვოს გადაყენება მთავრობის ახალი ოინია. ნამეტანი ბევრი წვალება გამოიარა ხალხმა ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში, ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა ოქტომბერს შემდეგ, ათასი ძალ-მომრეობა და სიმხეცე დატრიალდა მთავრობის სახელით რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში. ხალხი გრძნობს, რომ ეს ავაზაკური სისასტიკე „ზევიდან“ ნაბრძანებია, ხალხი ზევით ვიტტე-დურნოვას ხედავს, ხალხი ამ სიმხეცის შემქნელთ ემუქრება, დასჯას უპირებს. და აი სწორედ ამ დროს მმართველი წრეები იშორებენ ორივეს და თითქო ხელების დაბანვას აპირობენ მათს მოქმედებაში. ხალხის წინაშე ახლა მთავრობა ერთის მხრივ და ვიტტე-დურნოვო მეორეს მხრივ ცალ-ცალკე წარსდგებიან და მთავრობას იმედი აქვს, რომ ხალხის სიძულვილი და შურის ძიება დაკმაყოფილებული ქმნება ამ ორ, უფრო ცნობილ პირის გადაყენებით ან დასჯით,—დანარჩენებს, თვით იმ გაბატონებულ წრეებს, რომელთა ინტერესების დამცველი და გამომხატველი იყვნენ ვიტტე-დურნოვო, ხალხი დაივიწყებს და მათ პასუხს არ აგებინებსო.

სათათბიროს და ხალხის წინაშე ახლა ახალი მინისტრებია, მათი სახელი ისე პირდაპირ არ არის დაკავშირებული უკანასკნელ დროს ძალმომრეობასთან და ამიტომ მათ იმდენ პირად შურისძიების და სიძულვილის გამოწვევა არ შეუძლიათ, როგორც ვიტტეს და დურნოვოს. საყოველთაოდ ცნობილი პსიხოლოგიური კანონი არის, რომ ადამიანს ამა თუ იმ ჯგუფის ცნობილი წარმომადგენელი უფრო სძულს ან უფრო უყვარს, ვიდრე უცნობი და უმნიშვნელო. ამ მხრივ მეტად მოხერხებულად მოიქცა მთავრობა. ვიტტეს ყველა უფრო იცნობდა, ვიდრე გორემიკინს და დურნოვოც ხომ მის ახალ მოადგილეზე უფრო ცნობილი არის.

მთავრობის ანგარიში არ გამართლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხი საკმარისად შეგნებული გამოდგა და მთავრობის ახალ ოინით მოტყუებული არ დარჩა,—მან გულგრილად შეხედა ცვლილებას და იგი ყოველივე საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებულად სცნო,—თუ ახალ სამინისტროსაგან ხალხმა „ახალ“ მიმართულების მოლოდინი არ დაიწყო და იგიც იმავე ძველ „რეჟიმის,“ იმავ გაბატონებულ, მმართველ წრეების წარმომადგენლად მიიღო.

ხალხი ვიტტეს და დურნოვოს, როგორც კერძო პირთ, როდი ებრძოდა, ხალხი ებრძვის მთელ წყობილებას, მთელ სახელმწიფო სისტემას და ამ სისტემაში რომელი პირი იქნება მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლად, ხალხისთვის სულ ერთია, მისი სიძულვილი ძველ რეჟიმისადმი ამის გამო არ მოისპობა და არ შესუსტდება.

ამ თვალით უნდა ვუყუროთ ვიტტე-დურნოვოს გადაყენებას... ᲒᲐ. ᲡᲐ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲢᲐᲜᲢᲝᲑᲐ*)

სადაც ხალხის პოლიტიკური ცხოვრება თვითპყრობელობის საშინელ უღელ ქვეშ მიდუნებულია და მმართველი წრეები თავის ნებაზე განაგებენ სახელმწიფო საქმეებს, იქ პოლიტიკურ პარტიის მოქმედებას ხალხში ნიადაგი არა აქვს. საზოგადოების ამა თუ იმ სურვილის გამომჟღავნებას იქ აჯანყების ხასიათი ეძლევა, ყოველი ახალი აზრი, ახალი პოლიტიკური მოძღვრება ფარულად ვრცელდება ხალხში და ამ მოძღვრების მომხრეები შეთქმულებივით მოქმედობენ, სარდაფებში იმალებიან, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ემზადებიან სახელმწიფოში გაბატონებულ წრეების დასამარცხებლად.

მხოლოდ იქ, სადაც მთავრობისთვის და სახელმწიფოში გაბატონებულ წრეებისთვის არა სასიამოვნო ყოველ მოძღვრების წარმომადგენლებსაც ნება ეძლევათ სარდაფებიდან გამოვიდენ და აშკარად დაიწყონ თავიანთ აზრების გავრცელება ხალხში, სადაც ამა თუ იმ მოძღვრების მიმდევართ შეუძლიათ შეერთება და შეკრება, შეიძლება დაარსდეს პოლიტიკური პარტია და ხალხის ცხოვრება აჯანყების და შეთქმულების გზიდან მშვიდობიან განვითარების გზაზე გადვიდეს.

მაგრამ ეს გადასვლა ერთბაშად არ შეიძლება. ცხოვრების პირობების შეცვლამ შეიძლება გაუსწროს ხალხის ჩვეულებების შეცვლას და პოლიტიკურ პარტიებში შეიძლება ადამიანი იქცეოდეს ისე, როგორც შეთქმულს შეჰფერის.

ყოველი პოლიტიკური პარტია ერთნაირად მოაზრე, ერთნაირ ინტერესების მქონე ხალხს აერთებს და, რაკი სახელმწიფოში ყოველთვის აზრების და ინტერესების სხვა და სხვაობა არსებობს, ამიტომ ცხადია, რომ არ შეიძლება ერთმა რომელიმე პარტიამ მთელი ხალხის, ყველასი წარმომადგენლობა იკისროს. ყოველი პარტია მხოლოდ ხალხის ერთ რომელიმე ნაწილის წარმომადგენელია და მას მხოლოდ ამ ერთ ნაწილის სახელით შეუძლია საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა. მსხვილ მემამულეების პარტია მხოლოდ მათი წარმომადგენელია, ყოველი ბურჟუაზიული პარტია მხოლოდ ბურჟუაზიულ ელემენტების შემაერთებელია და ასევე ყოველი სოციალისტური პარტიაც ბოლოს და ბოლოს მხოლოდ იმათ სახელით ლაპარაკობს, ვინც შეგნებულად ემხრობა მას და შეგნება ხომ ეკონომიურ პირობების გამომხატველია.

და, მართლაც, პოლიტიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ხალხი შეეჩვია საპარლამანტო ცხოვრებას, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია მთელი ხალხის სახელით ლაპარაკის მონოპოლიას ვერ ისაკუთრებს და ყველა, პირიქით, ცდილობს სხვა პარტიებთან შეთანხმებით გაუძღვეს სახელმწიფო საქმეებს და საჭირო რეფორმების შემოღება გააადვილოს.

სულ სხვაა იქ, სადაც ხალხმა ახლად დაიწია თავი მონობას. იგი ყოველთვის ხედავდა, რომ მისი თვითმპყრობელი მეფე მთელ ხალხის სახელით მოქმედობდა, თავის პირად სურვილს ხალხის სურვილად ასაღებდა... ამიტომ, როცა ამ ქვეყანაში შესაძლო ხდება პოლიტიკურ პარტიების გაჩენა, ყოველი პარტია ისევ ამ თვითმპყრობელივით მოქმედობს, თავის თავს სახავს მთელ ხალხის ერთად-ერთ წარმომადგენლად, თავის სურვილს მთელ ხალხის სურვილად ასაღებს. სხვა პარტიების მოქმედება, თვით არსებობაც კი ამ პარტიის მომხრეებს ბოროტმოქმედებად მიაჩნიათ, და ეს თვითპყრობელური ხასიათი თვით პარტიის შინაურ ცხოვრებასაც ემჩნევა,—იგივე მეთაურების ბრძანებლობა, არავითარი პასუხისგებლობა, საკუთარ შეცდომების ჩაფუჩეჩება და მათი ახსნა სხვა და სხვა „ტაქტიკურ“ მოსაზრებით!..

ეს „თვითპყრობელობა“ პარტიის წევრებს ჯერ არ აწუხებს, როგორც ნამდვილი თვითპყრობელობაც თითქმის სასურველადაც მიაჩნია ხალხს იქ, სადაც საზოგადოების პოლიტიკური შეგნება ჯერ კიდევ განვითარებული არ არის. მაგრამ ბოლოს პარტიის ყოველი წევრი მაინც შეიგნებს, რომ სახელმწიფოში თვითპყრობელობასთან მებრძოლს არ შეუძლია თავის საკუთარ პარტიაში თვითმპყრობელურ მისწრაფებების ატანა, და ამ შეგნებას თან მოჰყვება უსათუოდ ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპების დამყარება იქ, სადაც წინეთ ეს პრინციპები მხოლოდ სახელით იყო შემოღებული.

პოლიტიკურად განვითარებულ ქვეყანაში ამ თვითპყრობელურ ხასიათთან ერთად პოლიტიკურ პარტიებს უტოპისტობაც ეტყობათ, ან სექტანტობა, პ. სტრუვეს სიტყვით. ადამიანს ჰგონია, რომ დღეს ან ხვალ ძირითადი ცვლილება შემოვა ცხოვრებაში. ამ მხრივ სექტანტები იყვნენ და ახლაც არიან ქრისტიანები, მათ სწამდათ და ახლაც სწამთ, რომ უთუოდ იქნება „მეორედ მოსვლა,“ რომ ამ მეორედ მოსვლას მოჰყვება არსებულ ცხოვრების მოსპობა და ახალის დაწყება. მაგრამ ამასთან ერთად სექტანტები არიან მარქსის მიმდევრებიც, რომელნიც ელიან „მსოფლიო პროლეტარიატის“ მოსვლას. „იყავ სუფევა შენიო!“ ამბობენ ისინი, და ყოველ დღე მოელიან მის მოსვლას. „მზად იყავით, მოდის, გვიახლოვდებაო!“

ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არის ქრისტიანებსა და მარქსისტებში. წინასწარმეტყველი ესაია ისევე ლოგიკურად მსჯელობდა თავის წინასწარმეტყველობაში, როგორც მარქსი, და თუ მისი წინასწარმეტყველობა არ გამართლდა, ამის მიზეზი ის არის, რომ შემცდარი გამოდგა ის დედა აზრები, რომელზედაც იგი ამყარებდა თავის ლოგიკურ დასკვნას. მაგრამ ჩვენს დროში ხომ საზოგადოდ ცნობილია, რომ ზოგიერთი ის დედა აზრიც, რომელზედაც აგებულია მარქსის შესანიშნავი ლოგიკური სისტემა, შემცდარი გამოდგა.

სექტანტებს სწამთ, რომ უნდა მოისპოს არსებული წყობილება. მაგრამ ადამიანს გონება სამუდამოდ რისიმე მოსპობას ვერ ურიგდება. სადაც ერთი რამ ისპობა, იქ ახალი, სამაგიერო უნდა დამყარდეს. „მოისპობა, დაიქცევა საქმაო ქვეყანა და ჩვენ ავდგებით ახალ, უკეთეს ცხოვრებისთვისო“—ამბობს ერთი სექტანტი; მოისპობა, დაიქცევა ბურჟუაზიული წყობილება და მის ადგილას ახალი, უკეთესი წყობილება

*) ვბეჭდავთ, ამ წერილს, თუმცა ავტორს ბევრ რამეში არ ვეთანხმებით. რედ.

.შემოვაო“—ბანს აძლევს მას მეორე სექტანტი, და მას სწამს, რომ ეს ახალი წყობილება სამუდამოდ, „უკუნითი უკუნისამდე“ შემოვა, რომ იგი ყველაფრით სრული იქნება, რომ მას აღარავითარი გამოცვლა არ დასჭირდება, რომ იგი ნამდვილი „სამოთხე“ იქმნება.

მაგრამ არ კმარა მხოლოდ ასე გაურკვეველად „სამოთხის“ ხსენება, საჭიროა დაწვრილებით იმის გარკვევა, თუ რა და რა წესები იქნება შიგ, საჭიროა მისი გეგმის დახატვა. დამონებულ-შეწუხებული ადამიანი ამ თავის მომავალ სამოთხეში იმას ეყრის თავს, რაც ახლა, „სააქაოში,“ აკლია და ენატრება. ძველი წინასწარმეტყველები ხალხს ჰპირდებოდენ ოქრო-ვერცხლს, ძვირფას თვლებს და სუნნელებას. მომავალ „სოციალისტურ რესპუბლიკის“ აღწერაშიაც ბევრი ისეთი რამე შეგვხვდება, რაც თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილებაში ადამიანის კეთილდღეობისათვის საჭიროდ მიჩნეულია. მომავალ „საიქიოს“ ყოველ პოლიტიკურ პარტიას თავის პროგრამაში აქვს გამოხატული. ამ გეგმის მიხედვით შენობის აგება უნდა მოხდეს არა დღეს და არა ხვალ, არამედ იმ დროს, როდესაც არც ჩვენ და არც ჩვენი შვილები აღარ იქნებიან ამ ქვეყნად. ეს გეგმა „პროგრამა მაქსიმუმშია“ გამოხატული. პროგრამმა მაქსიმუმი პარტიის მომავალი იდეალის, საბოლოო იდეალის გამომხეტველია, ეს პროგრამა არ ეხება ხალხის ან პარტიის წევრთა ახლანდელ მდგომარეობას. ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პარტიას კიდევ „პროგრამა მინიმუმი“ აქვს. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის უკეთეს პირობების შექმნა ამ პროგრამაშია მოთავსებული.

პროგრამა მაქსიმუმი, როგორც მომავალ „საიქიოს“ სურათი, თავის თავად ხალხის სხვა და სხვა საჭიროებას ვერ დააკმაყოფილებს, ამ პროგრამას ამიტომ მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს და პარტიულ მოქმედებაში იგი იდეალის მაგიერობას ეწევა. იდეალის გულისთვის კი ხალხი არ იბრძვრის, ხალხს ამხედრებს და აერთიანებს მისი ყოველდღიურ ცხოვრების სხვა და სხვა საჭიროება, იგი იბრძვის ცხოვრებაში დღესვე, ახლავე უკეთეს პირობების შესაქმნელად,—თვითონ სოციალისტი, კერძო საკუთრების მტერი, იგი იბრძვის კერძო საკუთრების საშოვნელად და ხელს ვერ იღებს თავის კერძო საკუთრებაზე, კაპიტალიზმის გაძლიერების საჭიროებაში დარწმუნებული, იგი ებრძვის კაპიტალს და მას ასუსტებს. ერთის სიტყვით, ხალხი ყველგან თავის კერძო სარგებლობას დაეძებს და „პროგრამა მაქსიმუმი“ მას ამ მხრივ ვერ დააკმაყოფილებს.

მას აკმაყოფილებს „პროგრამა მინიმუმი“ და ყველა გულახდილი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ პარტიის წევრებს აერთებს და აკავშირებს სწორედ ეს „მინიმუმი“, ის, რისი მიღწევაც მას დღესვე შეუძლია ამა თუ იმ პარტიის წევრობით

რაღა საჭიროა, მაშ, ეს მაქსიმუმი, ეს „მრწამსი“, რომელსაც უნდა მიემხროს ყველა, ვისაც მინიმუმის მიღწევა უნდა. განა ცხადი არ არის, რომ პარტიაში „მინიმუმის“ გულისთვის შევა ბევრი ისეთი პირი, რომელიც „მაქსიმუმს“ არ თანაუგრძნობს?..

მართლაც, მაგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებში თითქმის 1/3 ნაწილი ბურჟუაზიის წარმომადგენელია, ე. ი. ისეთი ელემენტი, რომელიც თავის მდგომარეობით ვერ თანაუგრძნობს პარტიის პროგრამის „მაქსიმუმს“ და ამასვე ვხედავთ ჩვენში, სადაც „მაქსიმუმის“ შეგნებული მოწინააღმდეგენიც თანაგრძნობით უყურებდენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ეხმარებოდენ კიდეც მას, სანამ მისი „მინიმუმი“, მისი ახლანდელი მოქმედება ხალხის უმეტესობისთვის სასარგებლოდ მიაჩნდათ.

რამდენად ესა თუ ის ჯგუფი თავის პროგრამის „მაქსიმუმს“ ეპოტინება, იგი სექტანტობას ეწევა,—ნამდვილი პოლიტიკური პარტია მთავარ ყურადღებას უნდა აქცევდეს პროგრამა-მინიმუმს და თავის წევრებს არ უნდა აძალებდეს „მაქსიმუმის“ შეუმცდარ მრწამსად აღიარებას. სადაც საპარლამენტო ცხოვრება გნვითარებულია, იქ პარტია თავის პროგრამა-მინიმუმის მიხედვით ადვილად უერთდება და უკავშირდება იმ პარტიებს, რომელთაც მსგავსი მინიმუმი აქვთ, თუმცა მაქსიმუმი, შეიძლება, სულ სხვა ჰქონდეს, მეტად განსხვავებულიც. იქ კი, სადაც საზოგადოების პოლიტიკური აზროვნება ჯერ განვითარებული არ არის, საკმარისია პროგრამა-მაქსიმუმის რაშიმე თანახმა არ იყოს ადამიანი, რომ პარტიამ იგი ხალხის ორგულად და ხალხის მტრად გამოაცხადოს, თუმცა პროგრამა-მინიმუმის განხორციელების საქმეში ეს ადამიანი, შეიძლება, თავდადებული იყოს.

ისევე იყო საშუალო საუკუნეებში,—სხვა და სხვა ღირსებით შემკულს და პატიოსან ადამიანს აწამებდენ და სწვავდენ მხოლოდ იმისთვის, რომ იგი სავსებით არ ეთანხმებოდა სახელმწიფოში გაბატონებულ ეკლესიის „მრწამსს“, თუმცა ამ „მრწამსში“ ადამიანის ზნეობრივ მოქმედების შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, განყენებული, თეორიული, იდეალისტური მცნებაა.

ამ განყენებულ მცნების გაბატონება ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰქმნიდა და ახლაც ჰქმნის სექტანტობას, უსარგებლო და უაზრო ბრძოლას იქ, სადაც უამისოდ შესაძლო შეიქმნებოდა შეერთებული შრომა ხალხის საკეთილდღეოდ. მისი გაბატონება შესაძლებელია პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც პროგრამა-მაქსიმუმის სახით და ამის გამო შექმნილ სექტანტობას აქაც თან მოჰყვება ხალხის დაქსაქსვა და ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საეთრო შრომის მაგიერად უსარგებლო თეორიული კამათი იმის შესახებ, რაც ასი წლის შემდეგ უნდა შემოვიდეს და რის დამყარებას არც ერთი ჩვენგანი არ მოესწრობა ისე, როგორც არც ერთი ახლა მცხოვრები ქრისტიანე არ მოესწრობა თვითონ „მეორედ მოსვლას“.

დასავლეთ ევროპაში ხალხმა სექტანტობას თავი დააღწია, პოლიტიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში კი ხშირად სექტანტობა პარტიის სახელით საღდება. ხალხის განვითარება მოსპობს ამ სექტანტობას...

Უ. რაგეელი.

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲗᲐ

(გაგრძელება)

ხაშურის საზარელმა ამბებმა თავზარი დასცა ახლო-მახლო სოფლებს. ჯარი გაემართა დასავლეთ საქართველოსკენ, ავიდა რკინის გზის სადგურ ჯვარეინოზე და შეჩერდა. აქ იწყება კვირაბი, რომელიც გადის სადგურ წითელში. ეი ამ კვირაბის ეშინოდა ჯარს. მისი აზრით, შიგ კვირაბში დინამიტი იყო ჩაწყობილი, წითლის მთაზე და ახლო მახლო სოფლებში ჩასაფრებული იყო 30,000 თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული „წითელი რაზმელი“ და რუსის ჯარს განადგურებას უპირებდა.

ვინ აკრეფილებდა ამ ხმებს? რა იყო ეს? პროვოკაცია თუ აფიცრების მსუბუქ ფანტაზიის ნაყოფი, კაცმა არ იცის.

— კვირაბს რომ მივუახლოვდით,—კვიმბო ერთმა ქართველმა აფიცერმა,—ბარაკლისი გადავისადეთ; კული კვიჩქროლაგდა, კა-

დავწეროეთ, რომ წიფაში ვერც ერთი ტოტხალი ვერ გავიდოდეთ; გვირაბში რომ შევედით, ბირჯვარი გადავწერეთ და ჩვენი თავი გენგებს მივანდეთ!..

შემდეგ რა მოხდა? მოხდა ის, რომ, დინამიტებისა და სხვა და სხვა ასაფეთქებელ მასალის მაგიერად, გვირაბის შუაგულში ერთი ოროქლმავალი იყო გადავარდნილი და 30,000 რაზმელის მაგიერად წიფიდან მოოდებული მოდითომდე ორი ადამიანი ნახეს, ერთი სოფ. ოსიაურის მცხოვრები, რომელსაც თოფი გადაეკიდა მხარზე და არხეინად მიდიოდა თავისთვის, და ერთიც ხაურის მეისრე, გვარად ონასარიძე, რომელიც ხაურში ბრუნდებოდა. ეს ორი კაცი შეხვდათ გზაზე და ორივე მოჭედეს. ბირველი მაოკანი წაადექეს და შეისი ბადოებით მობეგვეს, შემდეგ ტოტხალმგდარს ერთმა კაცამ ხანჯალი კვმოსჭრა.

სადგურ ვარგარინოზე ბირველად ტოტა ჯარი მოვიდა და გვირაბში გასვლას ვერ ბედავდა, უცდიდა მაშველ ჯარს. სანამ ეს მაშველი ჯარი მოვიდოდა, კაზაკები უსაქმოდ არ ისხდნენ,—ახლო მახლო ბევრი სოფელია, სადაც შეიძლებოდა კანავარდება და ხალხის აწოკება. და აი ერთს მშვენიერ დღეს ასმდე ცხენოსანი კაზაკი ეწვია სოფ. ქვიშხეთს.

ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ ალაგებოდათ მცხოვრებთ. თოფები იდო, ტიოდა. დამფრთხალი, თავ-გზა დაბნეული, თმაგაწეწილი, ფეხშიშველა, ჩუტმული ქალი და ბავშვი წიფილ-კივილით გარბოდა ტყეში. მამაკაცები აბამდენ საჩქაროდ მარხილებს და თავის ავლადიდებას, რაც შესაძლებელი იყო, მარხილზე უდებენ, რაც არა, თოფლში ფლავდენ. ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით, შეორედ მოსვლის დროს უარესი არევ-დარევა და აწიოკება არ იქნება. ერთი-ერთმანეთისთვის ადარავის სცალოდა, ტოლი ცალკე კარბოდა, ქმარი ცალკე, შვილი კიდევ ცალკე. ერთმა ოჯახმა, ტყეში რომ მივიდა და დაბინავდა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ ძუძუშწოვარა, აკვნის ბავშვი კუბაში დაჭკარგოდათ. მამა დაბრუნდა უკან და იპოვნა თავისი ბავშვი, რომელიც ტოტხალ-მკვდარი ღობის ძირას თოფლში ეგდო და ოდნავ და კენოდა.

ხახლებში დარჩა მხოლოდ ზოგიერთი ოჯახის პატრონი,— მამაკაცები, რომლებმაც გადასწყვეტეს გულში: ს

დებულ იოფებით ნელის ნაბიჯით დაეშვენ ქვეყეთ და შესდგეს ფეხი დაბაში.

ცხინვალელები ამ სურათს, ამ მზადებას უყურებდენ თვალით და არ იცოდენ, რა მოელოდათ. მრავალი ოჯახი ბარგი-ბარხანით თავზარდაცემული გარბოდა აქეთ-იქეთ სოფლებში, მაგრამ ეველა მათ კახაკები გაძალებენ, ბარგი წაართვეს, ბევრი სცემეს და უკანვე დაბრუნეს.

თავი მოიყარა ხალხმა და, რომეს მდგდლების წინამძღოლობით, ბურ-მარილით გაეგზავნა ჯარის შეს ხვედრად, მაგრამ წინ შეხვდათ ის ოცი კაზაკი, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ, და მათრახებით გაჭეანტეს. ამ მოწინავე რაზმის თანდათან გული მოეცა, რადგან წინააღმდეგობას არავინ უწევდა, და გამელელ-გამომველელს ეველას სცემდენ. მათ მოჭეკა დანარჩენი ჯარიც. ერთი თვალის დახამხამებაზე გზები შეეკრეს და ცემა-ტე�eთით, მუქარით და კინებით ხალხს თავი მოუყარეს მომრიგებელ სასამართლოს სადგომთან. ჯარის უფროსმა კაბიტანმა ვინკოვსკიმ ბრძანა, რომ მოხელეები ცალკე დამდგარიეენ და ხალხი—ცალკე. შემდეგ მიავლა და მოხელეებს დაუწყო სასტიკი ხმით გამოკითხვა, რა უწეების მოხელენი არიან, როგორ არის მათი საქმის ვითარება და სხვა. ერთს აქციზის მოხელეს რადაცაზე დაეუკარა: იცით, მე ვინა ვარ? მე ვარ წარმომადგენელი მისი უეიდეებულესობისა და ეი ამ ძალისა (ხელი ჯარზე მიუთითა). გირჩევთ, ფრთხილად იყოთო და სხვა. შემდეგ მიუბრუნდა ხალხს და დაუყვარა: რეფოლუციონერებო, ჯანეების მომხდენნო, ტერორისტებო, ხელმწიფის ტახტის მოდალატენო, დადგა თქვენი დრო, განკითხვა არავის გექნებათ, არ დავინდობთ არც დიდს და არც პატარას, არც ქალსა და არც ბავშვს... წაუკითხა სხვა და სხვა ბრძანებანი, გამოუცხადა, რომ სამხედრო წესებია შემოდებული და უთხა ხალხს: ახლავე უნდა წარმოადგინოთ, რაც რამე იარადი გაქვთ უნდა შეიპერონ და ჩაგვაბარონ აგიტატორები, ტერორისტები და რაზმელები, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვას-ქვაზე არ გავაჩერებთ და ერთიანად ამოვჟლეტავთო. რუსეთს ათი მილიონი ჯარი ჰყავს, ნუ გგონიათ, მთავრობა ისე დაგცა, რომ თქვენი მორევა არ შეეძლოსო,—დიდხანს ულაპარაკა ამ თემაზე. როდესაც გაათავა ლაპარაკი, მასთან მიეიდა ერთი ადგილობრივი სტრანიკი და მოახსენა: აქ ერთი სასამართლოს მდივანი არის, გვარად ნოდი, რომელმაც ხელმწიფის სურათი კედლიდან ჩამოიღო, უარამდა ეშორა, ათეურთხებდა და შემდეგ სადღაც წაიღოთ. ნოდია მაშინვე დაიტუსაღეს, დაატუსაღეს აგრეთვე ადგილობრივ მომრიგებელ შუამავლის თარჯიმანი გიორგი დავითაშვილი, რომელსაც ჯარის უფროსის დაპარაკზე ტუჩებზე დამილი მოუვიდა, და კიდევ თერთმეტი სხვა და სხვა უწეების მოხელე, რომელზედაც კი სტრაჟნიკი უთათებდა.

ხალხს გარშემო ჯარი ერტყა და სახლში არავის არ უშვებდენ. გამოუცხადეს, არ გაგიშვებთ, სანამ ეველა ჩვენს მოთხოვნილებებს არ დაკმაყოფილებთო. ხალხმა აირჩია 12 კაცი და სთხოვა ჯარის უფროსს: სამი დღის ვადა მოგვეცი და ეველაფერს შეგისრულებთო. ეს დღე ამით გათავდა.

სამი დღის შემდეგ ხალხს ისევ მოუყარეს თავი. გარს ჯარი შემოარტყეს და ზარბაზნები მიუშვირეს.—თქვენ ჩვენი მოთხოვნილებანი არ შესრულეთ,—განცხადა ჯარის უფროსმა,—ახლა მე ვიცი. ამ სუტეეებით გარს შემორტემულ ჯარს უბრძანა, ოფეებში პატრონები ჩაწყოთ და ზარბაზნები გაეტენათ. ჯარმა ბრძანება შესრულა. რითი გასტენე ზარბაზნები?—მიუბრუნდა უფროსი ერთს ჯარის კაცს.—კარტეჩით, თქვენო მაღალგეოიდშობილებავ!—ძალიან კარგი!..

ერთი წამიც და—სროდა უნდა ებრძანებინა, მაგრამ აქ ერთი არჩეულთაგანი, გვარად ტერ-სტეპანიანცი, მუხლზე დაეცა ტალახში და სთქვა: ბატონო, ცხინვალში ვინც იყო ან ბრაბანდისტი ან ტერორისტი ან რაზმელი, ამ ყამად ადარაგინ არის, ეველა გადაგარდა და მიიმალა. ჩვენ, ვინც აქა ვართ, მზად ვართ გემსახუროთ, აი სია, სადაც ჩამოთვლილია სახელი და გვარები ეველა ბრაბანდისტისა, ესენი კი სად არიან, არ ვიცითო.

ტერ-სტეპანიანცთან ერთად მოელმა ხალხმა დაიჩოქა ტალახში და შეშინებულის თვალით შეჰეურებდა კატენილ ზარბაზნების ტუჩებს. ეს თავშიშველა, ტალახში მუხლმოდრეკილი, თავზარ-დაცემული ხალხი, ეს გარს შემორტემული ჯარი, ეს ზარბაზნები მეტად საზარელ, ამაღელვებელ, საზიზღარ სურათს წარმოადგენდა. როგორც ამბობენ, ჯარის უფროსისაც კი ტრემლი მოერია და უბრძანა, ზარბაზნების ტუჩი ბგერაზე მიებრუნებინათ აქ უნებურად იბადება კითხვა: ბ-ნს ტერ სტეპანიანცს რომ არ მოსვლოდა „მშვენიერი ალრი“ ტალახში, მუხლზე დაცემასა და ხალხს მისთვის არ მეებაძნა, ესროდენ ხალხს ზარბაზნებს თუ არა?

ძნელია ამ კითხვაზე პასუხის მოცემა. როდესაც კი ამ სცენას კვეთხენებ, მაგონდება ერთი ანეკდოტი, რომელიც ხალხში დადის: იმპერატორი ნიკოლოზს პირველი რომ ჩამოვიდა კავკასიაში, თავად-აზნაურთა დეპუტაცია წარეგზავნა თურმე. დეპუტაციაში ერთა ერთი აზნაურშვილი, მშვენიერი შეხედულების ვაჟკაცი, რომელსაც უშველებელი ხანჯალი ერტყა. იმპერატორი გაჩერებულა ამ აზნაურთან, აუხედ-დაუხედნია, ბოლოს მოუკიდნია ხანჯალზე ხელი, ამ ოუძვრია პირი და გაჭეუმრებია,—მეტლისკენ გაუქანებია. აზნაურშვილს უკან დაუხევია. შემდეგ, როდესაც იმპერატორი წასულა, მასტვივნიან ამ აზნაურს და საეკვედური დაუწყეია: როგორ არ გრცხვენიან, შეგვარცხვინე. უკან რომ იხევდი რას იხევდი, მუტელში გატაკებდა თუ რა იყო, არ იცოდი, რომ გეხუმრებოდაო. აზნაურიშვილმა უპასუხა: თქვენმა მზემ, ციმბირში გაგზავნისა შეეშინდებოდა და მუტელში არ მატაკებდაო!

ასეა თუ ისე, ჯარის უფროსმა გამოართვა ტერ-სტეპანიანცს სია აგიტატორებისა და რაზმელებისა და უბრძანა ხალხს, წინ გაესძღოლოდა და ეჩვენებინა მათი სახლ-კარი. იმ დღეს თვითონ ხალხს დანგრევინეს სახლები: კორნელი კასრაძისა, მელტიევისა, ლეფჩისა და კასრაძისა, შემდეგ ცალცალა წაუკიდეს და მთლად გადასწვეს.

ამას იქით იწყება სოფელ-სოფელ სიარული, ხალხის ძარცვა ბლეჯა, ქალების გაუპატიურება, სახლ-კარის გადაწვა-განადგურება და ათასგვარი სხვა ძალ-მომრეობა, რომელიც ხდებოდა საშურში და სხვაგან.

სვ. ე—ნი.

(შემდეგი იქნება)

ქართული კულტურა უკანასკნელ 20 წელში

ყოველი ერი, რომელსაც სასიცოცხლო ძალა არ დაჰკარგვია, თავის თავს დრო გამოშვებით უნდა აძლევდეს ანგარიშს იმაში, თუ რა საუალება შესწევს მას განვითარებისთვის, უნდა აღმოაჩინოს თავისი ნაკლი და ამ ნაკლის შესავსებად წამალი მონახოს.

იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადო ცხოვრება განვითარებულია, სადაც მრავალი სამეცნიერო და საკულტურო დაწესებულება არსებობს, ამ ანგარიშს აძლევენ საზოგადოებას საქმის მცოდნე და ხალხის კულტურულ განვითარებაში მომქმედი პირები.

საქართველოში ყოველ კულტურული შრომა დაქსაქსულია. ამ შრომას რაღაც შემთხვევითი ხასიათი ეძლევა. მაგრამ მაინც ქართულ კულტურას შეუძლია განვითარება შემდეგშიაც, თუ ყველა თანასწორად გატაცებული იქნება საერთოკეთილდღეობისადმი მისწრაფება.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ქართველების კულტურული განვითარება ზერელე და სუსტი გამოდგა. მარტო იმას რომ მივაქციოთ ყურადღება, თუ რამდენი ქართველი გამოდის ყოველწლივ სამოქმედოდ ამა თუ იმ პროფესიაში, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, ვითომც გონებრივად და როგორც შრომის მოყვარე ქართველი ახლა წინანდელზე მაღლა იდგეს. მაგრამ ასეთი აზრი შემცდარი იქმნება. ხალხის განვითარება მშრომელთა რიცხვით არ განიზომება, —საამისოდ საჭიროა დავაკვირდეთ მათ შრომის ღირსებას. უნდა დავხედოთ, თუ რა სარგებლობა მოუტანა ამ შრომამ საერო კეთილდღეობას და ხალხის საერთო კულტურას. კულტურულ განვითარებაზე ლაპარაკი მხოლოდ იქ არის შესაძლო, სადაც ვხედავთ 1) გონებრივ კაპიტალის ზრდას 2) ქონებრივ კეთილდღეობის ზრდას და 3) ზნეობრივ განვითარებას.

როგორ შეიცვალა კულტურის ხსენებული სამი ფაქტორი ქართველებში ამ უკანასკნელ 20 წლ ს განმავლობაში?

1885 წ. ქართველებს ჰქონდათ მხოლოდ ერთი გაზეთი „დროება“, რომელსაც 600 ხელის მომწერი ჰყავდა, —ეს იყო მაშინდელი მკითხველთა საზოგადება. ახლა კი 2 ყოველდღიური გაზეთი არსებობს და 2 ყოველკვირეული, და ხელის მომწერთა რიცხვიც 15.000 აღემატება. პირველ შეხედვით ცვლილება დიადი არის და მართლაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვმა ამ 20 წლ ს განმავლობაში მეტად იმატა. მაგრამ საქმეს ღრმად თუ ჩავუკვირდებით, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მკითხველთა რიცხვის მომატება გამოიწვია უფრო პოლიტიკურ ცხოვრების გაცხოველებამ ვიდრე, სწავლის, ცოდნის შეძენის სურვილმა.

პოლიტიკურ კითხვებით ნამეტანი გატაცება, თქმა არ უნდა, ხელს შეუშლის ქვეყნის კეთილდღეობას და კულტურის განვითარებას. პოლიტიკას ხალხი სხვაგანაც ადგია, მაგრამ სხვაგან ხალხმა ამისი ზომაც იცის. იქ ხალხი იმ აზრისა არის, რომ ეკონომიურ ცხოვრების დიდი ხნით შეწყვეტა ძირს გაუთხრის ხალხის კეთილდღეობას. ქართველს ისედაც არ ეხალისება შრომა და, როდესაც პოლიტიკოსობას იწყებს, მაშინ ხომ მას სრულებით ავიწყებს. ამ პირობებში მკითხველთა რაოდენობის ზრდა კიდევ არ ამტკიცებს ხალხის კულტურულ განვითარებას.

ვინ არ იცის, რომ ქართველ მკითხველთა უმეტესობისთვის გაზეთი ერთად-ერთი საშუალებაა სწავლის შესაძენად და ამიტომ გაზეთის მხოლოდ პოლიტიკურ ამბებით ავსება არ შეიძლება: „ახალი ამბები“ ადამიანს ვერც გაანათლებენ და ვერც აღზრდიან. ამ „ამბების“ გულისთვის არ უნდა დავივიწყოთ ხალხის კულტურული, ყოველმხრივი განვითარება. მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება, თვით ვაჭრობა, მრეწველობა და მიწათმოქმედებაც კი, —ყოველივე ამას განუწყვეტლივ თვალყურს უნდა ადევნებდენ ხალხის საუკეთესო შვილები.

რომ უნდოდეს კიდეც ადამიანს ქართულ გაზეთში პოლიტიკის გარეშე სხვა საკითხებზე ყურადღების მიქცევა, ვერ მოახერხებს, რადგანაც ყველა, —დამწერი და წამკითხველიც, — მხოლოდ პოლიტიკაზე ფიქრობს და პოლიტიკაზე ოცნებობს.

ახლა მწერლობაზე გადვიდეთ და ვნახოთ, რა წინსვლა დაეტყო მას ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში. 1885 წ., როდესაც ერთად-ერთი გაზეთი „დროება“ გამოდიოდა, ქართველებში ჟურნალისტები ჯერ არ ყოფილა, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოჩენილი მწერლები იყო. იმ დროს სწერდენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, რომანისტები, — ყაზბეგი და გიორგი წერეთელი, ხელოვნების მცოდნე დავით ერისთავი და ვანო მაჩაბელი, ძველ ისტორიის მცოდნე დ. ბაქრაძე, პეტრე უმიკაშვილი, ურბნელი და სხვები. ყველას ამათ გატაცებით უყვარდათ თავისი ერი, უყვარდათ ქართული მწერლობა და ცდილობდენ მის განვითარებას.

ვის შეუძლია სთქვას, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის რაფიელ ერისთავის, ვახტანგ ორბელიანის, ვაჟა ფშაველას ნაწერები ახალ ქართულ მწერლობაში ძვირფას განძს არ შადგენდეს. მართალია, ახლა ზოგიერთი ზურგს უქცევს მათ, არა მოწონავე მწერლებად სახავს, მაგრამ ამათ ავიწყდებათ, რომ ეს მწერლები ამ 40 წლის წინეთ უკვე ამაღლებდენ ხმას ჩაგრულ გლეხობისა და მუშების საქმეზედ. გრ. ორბელიანის „მუშა ბოქაულიაძე“, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ და სხვა ამგვარი ნაწარმოებნი შეძლებულთა სვინიდისს ამხელდენ და იწვევდენ არსებულ მდგომარეობის შესაცვლელად.

არ ვიცი, ბედი მომავალში რას უქადის ქართველებს, მაგრ მ იმაში კი ვარ მტკიცედ დარწმუნებული, რომ ეს მწერლ ბი სამუდამოდ დარჩებიან ქართულ მწერლობის ბურჯებად ამ მწერლებში ზოგიერთი უკვე განშორდა ამ წუთის-სოფელს, ზოგი მოხუცდა ძ სამწუხაროდ, იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ მათ მოადგილე არ რჩებათ, რომ მათ შემდეგ ქართულ პოეზიას ბრწყინვალება მოესპო. ვერცერთმა ახალგაზრდა პოეტმა ვერ მოახერხა მათსავით ჩაებერა საზოგადოებაში აღფრთოვანება და გატაცება.

ოთხმოციან წლების დამლევს და ოთხმოცდაათიანის დამდეგს ქართულ პოეზიასთან ერთად განვითარდა ქართული მოთხრობაც, და თუმცა ეს ნაწარმოები სრულებით უმწიკვლო არ არის, მაგრამ ხელოვნების მხრივ მაინც შესაჩნევია. სად არიან ახლა მწერლები ყაზბეგის მსგავსი, გიორგი წერეთლის დარი, ლომაურის, კლდიაშვილის და ნინოშვილის სწორი?

მოთხრობის დამწერი ახლა, მართალია, მაშინდელზე მეტი გვყავთ მაგრამ სთქვით გამოტეხილი, საამოვნებით გადიკითხავდით ხელმეორედ რომელიმე მოთხრობას, რომელიც ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში დაუწერიათ? მოიპოვება ამ ნაწერებში ხელოვნება, ახალი შეხედულება ქართველ ერის თანამედროვე ცხოვრების შესახებ? არის გამოხატული ახალი ტიპები, ახალი რომელიმე მოვლენა და გარემოება? და თუ არის, დასტოვა თუ არა მათმა აწერამ თქვენზე რამე ხანგრძლივი და ღრმა შთაბეჭდილება?

ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში გერმანულ ჟურნალების გამომცემლებს არა ერთხელ უთხოვიათ ჩემთვის, რომ გადამეთარგმნა გერმანულად რომელიმე გამოჩენილი ქართული მოთხრობა, მაგრამ ბევრი ვეძიე და ვერც ერთი ვეღ ვნახე დღემდისაც.

პოეზიასა ძ მოთხრობებში, წინსვლის მაგიერად, ჩამორჩენა დაეტყო ქართველებს ამბობენ, ძველებს შემოქმედებითი ნიჭი დაეკარგათო, მაგრა ისინი, ვინც გაზეთებში სწერს, ხომ ახალგაზდები არიან, და მათში ეს შემოქმედება რად არ სჩანს.

ოცი წლის წინეთ მეცნიერებასაც ადგენ ზოგიერთები, — საქართველოს ისტორიას და ეთნოგრაფიას მაინც თავისი მკლევარები ჰყავდა. და ახლაც მეცნიერების ამ დარგებს ისევ „ძველები“ ადგიან. ვინ არის ახალგაზდებში ისეთი, როლისგან შემდეგში საამისო შრომის მოლოდინი შეგვეძლოს!..

ამ 20 წლის განმავლობაში სომხურ მწერლობასაც თვალყურს ვადევნებ და გამოტეხილი უნდა ვთქვა, რომ, თუმცა მე იქაც ვერ აღმოვაჩინე დიდი ნიჭი, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი მეცადინეობა მაინც ეტყობა სომხის მწერლებს,—დაუდგრომელად ცდილობენ შექმნან მდიდარი სომხური მწერლობა.

პოეზიაში სომხები ვერ შეედრებიან ქართველებს, მაგრამ ისეც შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრეთ, რომ სომხებს სრულებით არ ჰყავდეთ პოეტები,—მათი უკანასკნელი დროის პოეზია მძლავრად ეხება საზოგადო ცხოვრებას.

სომეხთა მოთხრობითი მწერლობა ხალხის ცხოვრებზე აღმოცენდა,—უფრო დინჯად და უფრო დაკვირვებულად, ვიდრე ქართული მწერლობა, იკვლევს იგი ამ ცხოვრებას და ამიტომ მისი განვითარებაც უფრო მკვიდრი გამოდგა. ამჟამად სომხებს რამდენიმე კარგი რომანისტი ჰყავთ, მათ საგაზეთო წერილებს აშკარად ეტყობა, რომ დამწერმა არა თუ შეისწავლა ცხოვრება, არამედ დასავლეთ ევროპასაც გაეცნო.

მოთხრობებთან ერთად განვითარდა სომხების დრამატიული მწერლობაც,—მაგრამ ყველაზე უფრო მდიდარია მათი ნათარგმნი ლიტერატურა, რომელიც ქართველებში თითქმის სრულებით არ არსებობს. სომხებს თითქმის ყველა გამოჩენილი უცხო მწერლების ნაწარმოები აქვთ გადათარგმნილი. ზოგიერთი მწერალი, მაგ. გიოტე, შილლერი, შექსპირი, ბაირონი და სხ. სრულად გადათარგმნილია სომხურად. „ფაუსტი“ ხომ საუკეთესო ლექსებით არის ნათარგმნი. მდიდარია სომხების საყმაწვილო მწერლობაც და კიდევ უფრო მდიდარია—სამეცნიერო, რომელიც უმეტეს ნაწილად, რასაკვირველია, ნათარგმნი არის. ერთის სიტყვით სომხები მედგრად და დაჟინებით შრომობენ თავიანთ მწერლობის გამდიდრებისთვის, საამისოდ სთარგმნიან კიდეც უცხო ენებიდან სხვა და სხვა თხზულებებს და ამაშიაც ქართველებზე წინ დგანან. ამ თარგმანებს უმაღლეს სასწავლებლებიდან შინ დაბრუნებულები კისრულობენ. ყოველი მათგანი თვის წვლილს კისრულობს და ერთ თარგმანს მაინც აწვდის მშობელ ერის მწერლობას... სად ვხედავთ ჩვენ ასეთსავე შრომას ქართველ ახალგაზდობაში? ორიოდე თუ მოიპოვება მათში ასეთი, რომ თავის ცოდნას ახმარებდეს ქართულ მწერლობას. აგერ 6—7 წელიწადია, ყოველწლიურად რამოდენიმე ახალგაზდა ქართველი ბრუნდება გერმანიიდან და საფრანგეთიდან და მათი არსებობა კი არსად არა სჩანს,—არც უცხო ენებიდან სთარგმნიან რასმე. ევროპიულ კლასიკების ნათარგმნს ვერ ვხედავთ ქართულად, ვერ ვხედავთ აგრეთვე სამეცნიერო წიგნების თარგმნასაც. სომხები გერმანიიდან შრომის სიყვარულით აღჭურვილნი ბრუნდებიან, ქართველი კი იქიდან მხოლოდ თეორიებით დაბარგებული ბრუნდება, ხშირად ისეთ თეორიებით, რომელთაც ქართველების ცხოვრებაში არავითარი ნიადაგი არა აქვთ.

ოთხმოციან წლებშიყოველწლიურად 50-60 წიგნი იბეჭდებოდა ქართულად, ახლა კი მეტი გამოდის, მაგრამ ეს სულ წვრილ-წვრილი წიგნაკებია, ხშირად უმნიშვნელო და ხალხისთვის უსარგებლო, და ამგვარად ამ მხრივაც ქართველთა ცხოვრების კულტურული ავლა-დიდება მეტად მცირეა, აქაც ქართველების ცხოვრებას მეტად უმნიშვნელო განვითარება დაეტყო, რადგან აქაც არ არის მრავლად თავის საკუთარ საგნის საფუძვლიანად მცოდნე და ერის კეთილდღეობის სურვილით გატაცებული ადამიანი.

არტურ ჯეისტი.

ᲩᲐᲠᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

(ს. ბორკჰაიმის თხზულებიდან)

სიტყვა „ჩარტი“ ნიშნავს ხარტიას, პეტიციას, რომელშიაც აღნიშნული იყო ინგლისელ მუშათა მოთხოვნილებანი. იმ დროს, როცა ინგლისში ჩარტისტების მოძრაობა დაიწყო, სათრანგეთში და გერმანიაში ინტერნაციონალური მუშათა ასოციაცია უკვე შედგენილი იყო და მუშათა შორის გაცხარებული მუშაობა ჰქონდა. თავის შინაარსით ორივე მოძრაობას—ჩარტისტულსა და სოციალისტურს—ერთნაირი მიზანი ჰქონდა: მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებით მუშათა კლასის ეკონომიური განთავისუფლება.

მაშინების გაჩენამ, მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ შესაფერი ცვლილება მოახდინა მუშათა კლასის გონებრივს შემეცნებაში. ჯერ კიდევ 1780 წელს ინგლისში რადიკალები არისტოკრატების, სეენგოკისა, პიტტისა ᲓᲐ ჰერკოგ რიჩმონდელის მეთაურობით, საყოველთაო საარჩევნო უფლებას თხოულობდენ, მაგრამ საფრანგეთის რავოლუციით შეშინებული არისტოკრატები მალე ჩამოშორდენ პარტიას და მთელი თავისი ძალღონე საფრანგეთის რევოლუციის ჩაქრობას მოახმარეს. პრემიერ-მინისტრმა პიტტმა, რასაკვირველია, მალე დაივიწყა რეფორმები და მზად იყო რევოლუციონურ საფრანგეთისთვის ომი გამოეცხადებინა, მაგრამ ინგლისის დემოკრატიული პარტია, რომელიც სავსებით თანაუგრძნობდა საფრანგეთის რევოლუციონერებს, ამ განზრახვას წინ აღუდგა და არამკითხე მინისტრს ომზე დროებით ხელი ააღებინა. პიტტმა მალე მოიკრიბა ღონე: გააუქმა „ჰაბეას კორპუსი“, აკრძალა დემოკრატიული კავშირები, დაითხოვა ფერეინები, რეფორმისტების ბელადები დააპატიმრა, დემოკრატიული პარტია თითქმის სავსებით მოსპო და ომი დაიწყო. მოკლე ხანში ინგლისმა ხელთ იგდო ყველა ზღვები და მასთან ერთად აზიისა და ამერიკის ბაზარი. ინგლისის მრეწველობა საოცარის სისწრაფით გაიზარდა და განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მანქანები მოიგონეს, საქონელს ისეთი გასავალი ჰქონდა, რომ მუშებს სანთლით ეძებდენ და ხელფასმაც ძალიან აიწია. ასეთ დროს შეუძლებელი იყო პოლიტიკურ ბრძოლაზე ფიქრი. ეკონომიურმა კეთილდღეობამ და რეპრესიებმა რეფორმატორებს ნიადაგი გამოაცალეს და გამარჯვების იმედი მოუსპეს. მაგრამ სურათი მალე გამოიცვალა. ჩამოვარდა თუ არა მშვიდობიანობა, კრიზისიც დაიწყო,—საფრანგეთსა და გერმანიაში იმდენად განვითარდა მრეწველობა, რომ საგარეო ბაზარზე ამ ქვეყნების საქონელი ზოგიერთ შემთხვევაში კონკურენციას უწევდა ინგლისის საქონელს. აუარებელი მუშა დარჩა უსაქმოდ. მათ მიემხრო მთელი არმია ომის გათავების გამო დათხოვნილ სალდათებისა და მატროსებისა. გაჭირვებამ, უსაქმობამ და შიმშილმა სწრაფად შეჰქმნა ძლიერი არმია პროლეტარიატისა, რომელიც ისევ პოლიტიკას ეცა და პოლიტიკური რეფორმები მოითხოვა. მთავრობა ხელს არ იღებდა რეპრესიებზე და ამით ხელს უწყობდა უკმაყოფილების ზრდას და რევოლუციონურ მოძრაობის განვითარებას.

მოძრაობას ხელმძღვანელობდენ ნაცადი ბელადები რევოლუციისა ბერდეტი, გენტი და მაიორი ჰარტვინგი, მაგრამ მოძრაობის გენერალად ითვლებოდა განთქმული პუბლიცისტი და შესანიშნავი ორატორი კობეტი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული დემოკრატებზე. მოძრაობა დღითი

დღე იზრდებოდა. მაგრამ არც მთავრობას ეძინა. მან მიიმხრო მემამულენი, არისტოკრატია, საშუალო კლასის ერთი ნაწილი და ბრძოლისათვის მოემზადა. 1816 წელს მთავრობამ შესაფერად დააფასა პრესსის ძალა და ქაღალდს ფასი დაადო, მაგრამ ვერც ამ ხერხმა გასჭრა. კობეტმა ერთი სამად უკლო გაზეთის ფასს, რის გამო რამდენიმე ასი ათასი ახალი მკითხველი მოიპოვა. 1819 წელს 16 აგვისტოს მანჩესტერში პეტერსის ველზე გენტმა მოიწვია კრება, რომელსაც უნდა განეხილა რადიკალ-რეფორმისტების მოთხოვნილებანი. შეიკრიბა 60,000 კაცი. დაიწყო თუ არა კრება, იქვე საფარიდან გამოვიდა უმეტეს ნაწილად ფაბრიკანტებისაგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი, რომელმაც ხმალი იშიშვლა და ხმის ამოუღებლად ხალხს მიესია. რაზმმა რომ ვერაფერი გააკეთა, ორი დრაგუნთა ესკადრონი ჩაერია საქმეში. ბრძოლის ველზე დარჩა 400 მოკლული და დაჭრილი მუშა. ამის გამო მთელ ინგლისის მუშა ხალხს აღშფოთებისა და აღელვების გმინვა აღმოხდა გულიდან. მაგრამ მთავრობამ ეს სისხლისღვრა არ იკმარა და რეპრესიებს მიჰყო ხელი. პარლამენტმა მიიღო განთქმული ექვსი დადგენილება, რომელსაც ხალხმა „პირში ბურთის ჩამჩრელი კანონები“ დაარქვა. ამ კანონების ძალით, ნებადაურთველად აკრძალული იყო კრების გამართვა, ადმინისტრაციას ნება ეძლეოდა მიზეზის აუხსნელად გაეჩხრიკა მოქალაქის ბინა, ვინც ვინმეს პრესსაში შეურაცჰყოფას მიაყენებდა, მას სხვა ქვეყანაში გადაასახლებდენ და სხ. საფრანგეთის რევოლუციაში ნაცადმა და გაწვრთნილმა ტისლვუდმა შეთქმულობა მოახდინა ყველა მინისტრების ამოსაჟლეტად, მაგრამ შეთქმულები ვიღაცამ გასცა და ყველანი სიკვდილით დასაჯეს. მთავრობამ რეპრესიებს უმატა. ორი წლით გააუქმა „ჰაბეას კორპუსი“ და ციხე-საპყრობილეები მოძრაობის მეთაურებით გაავსო. აგიტაციამ იკლო, კრებები კიდევ იმართებოდა, მაგრამ წინანდელი გატაცება და რევოლუციონური აღფრთოვნება აღარსად იყო.

პირდაპირ შეტაკებაში დამარცხებულმა მუშა ხალხმა მალე მაინც ისევ ხელი მიჰყო საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლას. საფრანგეთის 1830 წ. რევოლუციის შემდეგ ინგლისის ლიბერალებმა გამართეს აგიტაცია საარჩევნო უფლების გასაფართოებლად. მუშა ხალხი შეუერთდა მათ და მხარი დაუჭირა. 1832 წელს ქვედა პალატამ მიიღო ბილი საარჩევნო რეფორმისა, მაგრამ ზედა პალატამ უარჰყო იგი. გაბრაზებულმა მუშა ხალხმა მთელ ინგლისს მოუწოდა, არავითარი გადასახადი არ მისცეთ მთავრობასო. ხალხმაც შესაფერი პასუხი გასცა ამ მოწოდებას და მთავრობა იძულებული შეიქმნა, დათმო და საარჩევნო უფლება გაეფართოვებია.

მანქანების გამოგონებამ, მრეწველობის განვითარებამ და კაპიტალისტურმა წარმოებამ სწრაფად შესცვალა ინგლისის ცხოვრება. სახელოსნოები თანამედროვე ფაბრიკებად გადაიქცა, უბრალო დაბები—თანამედროვე უზარმაზარ ქალაქებად; ხალხი შეჯგუფდა, დიდ ქალაქებში შეიკრა; ხელფასმაც აიწია, რის გამო სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა ქალაქს. პროლეტარიატის არმია ისევე სწრაფად იზრდებოდა, როგორც ბურჟუაზიის ძალა. კლასთა წინააღმდეგობა და სხვა და სხვაობა მათის ინტერესებისა თანდათან აშკარა ხდებოდა. ეს წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ნათლად გამოიხატა 1832 წლის რეფორმის შემდეგ. ბურჟუაზიული პარლამენტი მეორე დღესვე წინ აღუდგა მუშათა მოთხოვნილებებს და სურვილს. დაუყონებლივ გამოიცა კანონები წინააღმდეგ ირლანდიისა და პროფესიონალურ კავშირებისა; ახალ საქალაქო დებულების ძალით საქალაქო თვითმართველობა მარტო ბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელში; წინანდელ კანონებით ყოველი თემი და ქალაქი მოვალე იყო შეენახა ღარიბი, ახალ კანონით კი საქმე ისე მოეწყო, რომ საზოგადოებას არ შეეძლო ნივთით და ფულით დახმარება აღმოეჩინა ღარიბებისთვის. ღარიბებისთვის ახლად დაარსებულ სახლებში ცხოვრება შეეძლოთ მხოლოდ ბავშვებსა და მოხუცთ, ხოლო ჯან-საღები ისეთ პიროებებში იყვენ ჩაყენებული, რომ მათი დგომა და ცხოვრება ასეთ სახლებში შეუძლებელი იყო. ამგვარ კანონის საშუალებით ბურჟუაზიას ქირაზე მომუშავეთა გამრავლება და მუშა ხელის გაიაფება უნდოდა.

1837 წელს ლონდონში მუშათა წარმომადგენლებმა „მუშათა ასოციაციის“ კავშირი შეადგინეს და განთქმული ექვსი მუხლი შეიმუშავეს. მუშები თხოულობდენ: 1) საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებას ყველასათვის, ვინც კი საღი გონების პატრონი იყო და ბოროტმოქმედებაში არ იყო შემჩნეული; 2) ყოველწლიურ პარლამენტს; 3) ფარულ კენჭის ყრას, 4) ჯამაგირს დეპუტატებისთვის, 5) თანასწორ საარჩევნო ოლქებს და 6) პარლამენტში გასაგზავნ კანდიდატებისთვის ქონებრივ ცენზის გაუქმებას. მუშებმა ეს პეტიცია ინგლისის პარლამენტს გადასცეს. მუშათა მოთხოვნილებების განხორციელება ნიშნავდა ინგლისის სახელმწიფოში მთავარ ძალის გადასვლას მუშა ხალხის ხელში, არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის შესუსტებას. დაიწყო არაჩვეულებრივი, ენერგიული და მხნე აგიტაცია. მუშებს შეუერთდა წვრილი ბურჟუაზიაც. გადაწყვეტილი იყო ინგლისის ყველა კუთხეში გაეგზავნათ აგიტატორები და პეტიციაზე ხალხისთხვის ხელი მოეწერინებინათ. მოძრაობა საოცარის სისწრაფით გაიზარდა. საერთოდ გამართული იყო 500-ზე მეტი კრება: პეტიციაზე ხელი მოაწერა 1,250,000-მა კაცმა, თითო კრებას ესწრებოდა, სულ ცოტა, 30,000 კაცი. ზოგ კრებას დაესწრო 200,000, ხოლო ერთს—300,000 კაცი. მამაკაცები, დედაკაცები, ბავშვები და მოხუცნი წითელ დროშებით რამდენიმე ვერსის მანძილზე მიდიოდნენ კრებაზე დასასწრებლად. საერთო აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ბურჟუაზია დაფრთხა, შეშინდა და საბრძოლველად მოემზადა. მთავრობამ ბურჟუაზიას იარაღი დაურიგა გასაფარჯიშებლად ჩარტისტებმა ეს საბუთი ხელზე დაიხვიეს და თვითონაც შეუდგნენ შეიარაღებას. ყველას კარგად ესმოდა რომ ჩარტისტულ მოძრაობას საფუძვლად ედო სოციალური მიზანი, პოლიტიკური მოთხოვნილებანი კი იყო მხოლოდ გარეგანი ფორმა. 1838 წელს 12 დეკემბერს მეფემ გამოსცა ახალი ბრძანება, რომელიც ღიმე კრების გამართვას კანონის წინააღმდეგად სცნობდა. დაიწყო რეპრესიები. ჩარტისტების საუკეთესო ორატორს სასამართლომ 18 თვით დაპატიმრება მიუსაჯა სტემბრიჯში წარმოთქმულ სიტყვისთვის. ბირმინგამში მოწვეულ კონვენტზე ერთმა ბელადმა, კონორმა, განაცხადა, რომ მთავრობის ძალას ჩვენი ძალა უნდა დავუპირდაპიროთო. მალე ჩარტისტებმა სიტყვა საქმეზე გადიტანეს. სამხრეთ ვალისში დაიწყო არეულება. 13 მაისს ჩარტისტების კრებამ, რომელსაც 5000 კაცი დაესწრო, დაადგინა: 1) ერთ და იმავე დღეს ყველამ ბანკებიდან გამოიტანოს შესანახად შეტანილი ფული: 2) საქონელი ვიყიდოთ მხოლოდ ჩარტისტებისგან; 3) ვიუქმოთ „წმინდა თვე“ და ამ ხნის განმავლობაში მუშობა შევაჩეროთ და 4) ყველანი შეიარაღდეთო. 12 აგვისტოს გაფიცვა და ბანკებიდან ფულის გამოტანა უნდა დაწყებუ-

ლიყო. გაზეთი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ წინადადებას იძლეოდა, დედოფალს ვთხოვოთ, რომ მინისტრებად ჩარტისტები დანიშნოს და ეს თხოვნა გავუგზავნოთ 500,000 „მშვიდობის მოყვარე შეიარაღებულ კაცის ხელითაო.“ მანჩერსტერთან მომხდარმა კრებამ, რომელსაც ნახევარ მილიონამდე კაცი დაესწრო, დაადგინა: თუ პარლამენტმა ჩვენი ხარტია არ შეასრულა, ჩვენ თვითონვე განვახორციელოთ იგი იარაღითო. 1839 წელს ივნისის 14 დეპუტატმა ატვუდმა ეს პეტიაცია პარლამენტს გადასცა. მილიონ ნახევარ მუშის თხოვნას პარლამენტმა სიცილით გასცა პასუხი. ინგლისის მუშა ხალხმა მწვავედ იგრძნო ეს შეურაცხყოფა, მაგრამ თავის მუქარა ვერ შეასრულა. ჩარტისტებმა ვერ დაამტკიცეს თავიანთი ერთსულოვანობა, ერთი პირი და მტკიცე ორგანიზაცია და შედგენილი გეგმა ჩაიშალა.

კონვენტი დაიშალა, მაგრამ მალე ისევ შეიკრიბა შემდეგ ამბის გამო. 8 ივლისს პოლიცია თავს დაესხა ერთს კრებას და ძალა იხმარა, მაგრამ მუშები მაგრა დაუხვდენ და პოლიციელები იფრინეს. კონვენტმა მოწოდება გამოსცა და პოლიცია სამარცხვინო ბოძზე მიაკრა. 15 ივლისს ბირმინგამში ხელახლა დაიწყო არეულობა, ორიოდე საათის განმავლობაში დაიწვა 30 სახლი. მთავრობა თავისას არ იშლიდა და კონვენტის წევრებს ზედი-ზედ| აპატიმრებდა. 20 ივლისს ნიუ-კესტლშიაც დაიწყო არეულობა. ბირინგამის არეულობის სამ მეთაურს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტეს, მაგრამ აპატიეს. კონორისა, სტეფენსის და მრავალ სხვა ბელადების დაპატიმრებამ აგიტაცია შეასუსტა. ჩარტისტებმა კარგად შეიგნეს საქმის მდგომარეობა და გადასწყვიტეს აჯანყების დაწყება. 4 ნოემბერს, დილის 4 საათზე, ორ რაზმად დაყოფილი მუშები ქალაქ ნიუპორტს შეესიენ და ციხეზე იერიში მიიტანეს. მუშები დამარცხდენ. ბევრი ხალხი დაიულუბა. სამი ბელადი—ფორსტი, ვილიამი და ჯონსი სამუდამოდ გადასახლეს ანგლისიდან. მთავრობამ რეპრესიებს უმატა.

(დასასრული იქნება)

სოციალისტური მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

(ჟან ლონგესი)

დიდი ხნის განმავლობაში დიდებული ამერიკის რესპუბლიკა მეტის მეტად ნელის ნაბიჯით ითვისებდა სოციალისტურ იდეებს. ამ მხრით ამერიკა თითქმის ყველა ქვეყნებს ჩამორჩა. ამავე დროს არც ერთ სხვა ქვეყანაში ისე ადრე არ უჩენია თავი სოციალისტურ მოქმედებას, როგორც ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში, და, უკანასკნელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში, ისეთი უმნიშვნელო როლი სახალხო პოლიტიკაში არსად არ ჰქონია სოციალიზმს, როგორც ამ ქვეყანაში.

უკანასკნელ საუკუნის ცნობილ უტოპისტების უმეტესმა ნაწილმა და მათმა მიმდევრებმა ამერიკა ამოარჩიეს სამოქმედო ასპარეზად. მხოლოდ იქ, ატლანტიურ ოკეანეს მეორე ნაპირზე, იპოვეს სოციალურმა რეფორმატორებმა ის ახალი ქვეყანა, სადაც განხორციელებული იყო სარწმუნოებრივი და პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც ჯერ უცნობი ხილი იყო ევროპისათვის. იმ დროს ჩრდილოეთი ამერიკა ურიცხვ თემებად იყო დაყოფილი. ამ თემებში დაიწყო პირველად ცდა რობერტ ოუენისა, ფურიესი და კაბეს დიდებულ უტოპიების განხორციელებისა.

მაგრამ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების თანამედროვე სოციალისტური მოძრაობა თავის დასაწყისითა და განვითარებით არაფრით არ არის შეკავშირებული მე-XIX საუკუნის შუა წლების კომუნისტურ კოლონიებთან. ხსენებულ უტოპისტების ცდას თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონია საზოგადოებრივ აზრზე და მალეც მივიწყებული იქმნა.

სამაგიეროდ, 1850 წლიდან და უფრო კი 1866 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ ნიუ-იორკსა, ცინცინატსა, ჩიკაგოსა და სხვა ქალაქებშიაც აღმოჩნდენ თანამედროვე სოციალისტურ იდეებით გამსჭვალული ჯგუფები, რომელნიც თავის მიზნად ასახელებდენ მუშათა კლასის ორგანიზაციის საშუალებით საწარმოვო იარაღის განსაზოგადოებრივებას. ჯგუფებში მონაწილეობის მიმღებთა უმეტესობა ემიგრანტი გერმანელები იყვნენ, უმცირესობა კი—ფრანგები, იტალიელები და პოლონელები. ინტერნაციონალის განყოფილებაც, რომელიც მე-70 წლებში დაარსდა, თითქმის სავსებით გამოქცეულ გერმანელებისგან შესდგებოდა. ამ ჯგუფებს ამერიკელ მუშებზე სრულიად არავითარი გავლენა არ ჰქონდათ. 1877 წლის მიწურულში დაარსებული სოციალისტური მუშათა პარტია ოცი წლის განმავლობაში თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ზემოხსენებულ ჯგუფებისგან ამ პარტიის წევრებს საერთო არა ჰქონდათ რა ამერიკელთა ენასთან და იდეებთან, არავითარი გავლენა არ ჰქონდათ და პრაქტიკულად ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე იდგენ. ისინი მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ ლუდსა სვამდენ და „მარქსის ფილოსოფიაზე“ კამათობდენ. 1878 წელს ამ პარტიამ მოახერხა და ნიუ-იორკში საკუთარი გაზეთი გაიჩინა, რომელიც დღესაც არსებობს და სახელად „ნიუ-იორკის სახალხო გაზეთი“ ჰქვია.

მე-XIX საუკუნის უმეტეს ნაწილის განმავლობაში შეერთებულ შტატებში სოციალისტურ მოძრაობისთვის საჭირო პირობები არ არსებობდა. ამერიკის შტატების ფედერაციაში ირიცხებოდა აუარებელი მესაკუთრე გლეხი, ხოლო მრეწველობა ის იყო იბადებოდა შემდეგ, როცა მრეწველობამ საოცარის ძალით იფეთქა, ახლად შემდგარ პროლეტარიატს შეძლება მიეცა კარგი სამუშაო ქირა მიეღო; გარდა ამისა ეს პროლეტარიატი ისეთ სხვა და სხვა ნაირ ელემენტებისგან შესდგებოდა, რომ მასში კლასიურ შეგნების განვითარება მეტად ძნელი იყო.

მაგრამ შეერთებულ შტატების მცხოვრებთა რაოდენობა და კაპიტალისტური წარმოება საოცარის სისწრაფით იზრდებოდა. 1850 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში ირიცხებოდა 13 მილიონი მცხოვრები, ხოლო 1900 წელს ეს რიცხვი 76 მილიონამდე ავიდა. 1830 წელს ამერიკის შტატების ეროვნული ქონება დაფასებული იყო 7 მილიარდ დოლლარად (დოლლარი ჩვენებურ ორ მანათს უდრის), 1890 წელს კი ეროვნული ქონება დაფასებული იყო 65 მილიარდად. 1830 წელს ეროვნული ქონება ცოტად თუ ბევრად თანასწორად იყო განაწილებული მცხოვრებთა შორის, 1890 წელს კი ამ ქონების ნახევარზე მეტი ეკუთვნოდა 40,000 ოჯახს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. თითქმის ყოველ დღე არსდება ახალ-ახალი ტრესტები, რომელთაც ას მილიონობით აქვთ თანხა, და ეს გარემოება ხელს უწყობს კლასობრივ წინააღმდეგობისა და ბრძოლის განვითარებას. 1881 წლიდან 1901 წლამდის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა 14,000 გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შვიდ მილიონმა მუშამ 1891 წელს დიდი გაფიცვა მოხდა ლაკომერში, 1892 წელს—ტოსნედსტედში, 1891 წელს—ჩი-

კაგოში, რომელსაც დიდი სახელი აქვს გაფიცვათა ისტორიაში. ამ გაფიცვას ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული და მეტვრმეტეველი მდივანი რკინის გზებზე მოსამსახურეთა კავშირისა, ვინმე ე. დებსი. 1897 წელს მან დააარსა ახალი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ცოტა ყოყმანის შემდეგ, ინტერნაციონალურ სოციალიზმის საზოგადო თეორიაზე ააშენა. 1900 წელს ერთმანეთს შეუერთდენ სოციალ-დემოკრატიული პარტია და უმეტესი ნაწილი მუშათა სოციალისტურ პარტიისა, რომელშიაც განხეთქილება მოხდა მებრძოლ რაზმსა და პარტიის ზოგიერთ ბელადთა შორის. ახალმა კრიზისმა ძალიან შეუწყო ხელი სოციალისტურ იდეების განვითარებას. ჩვენ ვამბობთ 1902 წელს პენსილვანიაში მომხდარ დიდებულ გაფიცვაზე, რომელმაც მაისიდან ოქტომბრამდის გასტანა. საპარლამენტო არჩევნების დროს სოციალისტურ პარტიის პროგრესი თვალსაჩინო აღმოჩნდა, — მან 223,000 კენჭი შეაგროვა. ამის შემდეგ სოციალისტურ მოძრაობის პროგრესი არ შეჩერებულა. პარტია სისტემატიურად იზრდება და მთელ შეერთებულ შტატებს ედება. სოციალიზმს ამერიკის 45 შტატსა და 3 ოლქში 30,000 მუდმივი წევრი ჰყავს. სოციალიზმი საზღვარ გარეთიდან შემოტანილი თეორია აღარ არის, ის ახლა ნამდვილი ამერიკულია, რაიც დამტკიცდა 1904 წელს ჩიკაგოში მომხდარ კონგრესზე, სადაც 183 დელეგატიდან 129 ნამდვილი ამერიკელები იყვნენ. ამ კონგრესზე ამერიკის ყოველ მოზრდილ შტატს თავისი დელეგატი ჰყავდა.

იზრდება სოციალისტური პრესსაც. ამერიკაში, სადაც დაარსებული იყო უდიდესი გაზეთები, ძნელი იყო ისეთ პრესსის გაჩენა, რომელიც განსაკუთრებით მუშა ხალხის კლასობრივ მისწრაფების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს საქმეც მოხერხდა. დღეს ამერიკაში აუარებელი სოციალისტური ჟურნალ-გაზეთობა გამოდის ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ირლანდურ, მადიარულ, ებრაულ, ჩეხურ და იტალიურ ენებზე.

ამერიკულ სოციალისტურ მოძრაობას თავისი თეორეტიკოსებიც ჰყავს და რამდენიმე სერიოზული ჟურნალიც აქვს. ა. სიმონსი, უაილი, გენტი, მორტისი, სილკიტი, უნტერმანი, მილლი, ალდუსერონ ლეი და ჯორჯ სპარგო სოციალიზმის განთქმული თეორეტიკოსები არიან. დიდი სახელი აქვს აგრეთვე იოვის უნივერსიტეტის განთქმულ პროფესორს ჯორჯ გერრონს, რომელმაც თავისი კათედრა დაჰკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქრისტიანულ სოციალიზმს ჰქადაგებდა პარტიის მეთაურად ითვლებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ჯორჯ გერრონი სოციალისტურ პარტიას შეუერთდა.

როგორც ინგლისში, ისე ამერიკაშიაც ხელმეორე კენჭის ყრა არ არის; არჩევნების დროს ის კანდიდატი იმარჯვებს, რომელსაც შედარებით მეტი ხმა ერგება. სოციალისტური პარტია არჩევნებში მუდამ ოპოზიციაში უდგას სხვა პარტიებს, — იმ ადგილებშიაც, სადაც სოციალისტ კანდიდატს გამარჯვების იმედ სრულიად არა აქვს, ის მაინც იდგამს ყუთს და სოციალისტი ამომრჩეველნიც მას აძლევენ კენჭს. ამის გამო დემოკრატიული პარტიები სამართლიანად უსაყვედურებენ სოციალისტებს, — ასეთი ტაქტიკით თქვენ ზარალს აძლევთ დემოკრატიას, ვინაიდან თქვენი მუდმივ განცალკევების მეოხებით ამა თუ იმ ოლქში არჩევნების დროს, შეიძლება, დემოკრატიისთვის არა სასურველმა პირებმა გაიმარჯვონო. ალბად ეს ტაქტიკაა მიზეზი იმისა, რომ სოციალისტურ პარტიას, თუმც არჩევნების დროს ნახევარი მილიონი ხმა მიიღო, არც ერთი დეპუტატი არა ჰყავს არც დეპუტატთა პალატაში და არც ვაშინგტონის სენატში. ნ. ტ.

ქალთა მოძრაობის ისტორიიდგან.

მეცხრამეტე საუკუნეში ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა დემოკრატიზაციამ ცოტად თუ ბევრად ფრთა შეაკვეცა ხეპრულ ძალის ბატონობას და სამართლიანობის პრინციპს სახელმწიფოში უფრო მეტი ადგილი და მნიშვნელობა მისცა, ვიდრე მას ჰქონდა წინა საუკუნეებში. ამ დემოკრატიზაციამ დიდი ცვლილება და გაუმჯობესება შეიტანა დედაკაცის მდგომარეობაშიაც. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებამ ალაგ-ალაგ უტოპისტების მოლოდინსაც კი გადააჭარბა და ზოგიერთ სახელმწიფოში (ამერიკის ზოგიერთ შტატებში, ავსტრალიის ფედერაციაში) ქალებსაც ისეთივე პოლიტიკური უფლებანი მიანიჭა, როგორც მამაკაცებს.

დედაკაცის მდგომარეობის ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, ნათლად დავინახავთ, რომ დღემდის მიზეზი დედაკაცის დაბეჩავებისა იყო უფლება ძლიერისა. ძლიერის უფლება არც დღეს მოსპობილა და არც ამ ახლო მომავალში მოისპობა. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თანდათან სამართლიანობა ამარცხებს ძალის უფლებას და, იმედია, ერთ დროს სრულიად მოსპობს მას.

პირველი სერიოზული აგიტაცია ქალთა სასარგებლოდ ეკუთვნის დიდებულ საფრანგეთის რევოლუციას. ამერიკის განმათავისუფლებელ მოძრაობის მაგალითით აღფრთოვანებულმა საფრანგეთის ქალმა კარგად ისარგებლა რევოლუციის დროს საერთო გატაცებით და ხმამაღლა მოითხოვა თავისი ადამიანური უფლებანი. დედაკაცებიც აჰყვნენ მამაკაცების მაგალითს და შეადგინეს საკუთარი „დეკლარაცია დედაკაცის უფლებათა“, დაარსეს საკუთარი კლუბი და ენერგიულად შეუდგენ აგიტაციას. ქალთა მოძრაობას მხარს უჭერდა იმ დროის შესანიშნავი ფილოსოფოსი კონდორსე, რომელიც ამის შესახებ სწერდა: „რომელ პრინციპისა და რომელ უფლების ძალით სჩაგრავენ დედაკაცს რესპუბლიკურ სახელმწიფოში? საერო წარმომადგენლობა ნიშნავს მთელი ერის წარმომადგენლობას. მაგრამ განა დედაკაცი ერის ნაწილი არ არის? ლაპარაკობენ, ვითომ დედაკაცებისა და მამაკაცების პოლიტიკური გათანასწორება დედაკაცს ოჯახს მოაშორებსო. შორიდან ეს საბუთი თითქო მართალია, მაგრამ ნამდვილად იგი ერთ გროშადაც არა ღირს. ეს საბუთი სრულიად არ შეეხება იმ ქალთა აუარებელ ჯარს, რომელიც არც გათხოვილნი არიან და არც საკუთარი ოჯახი აქვთ. მაგრამ თუ ზემოხსენებულ საბუთს სამართლიანად აღვიარებთ, მაშინ ამავე საბუთის ძალით ქალებს უნდა ავუკრძალოთ მოსამსახურეობა და ვაჭრობა-მუშაობა, რადგან ვაჭრობაც და ქარხნებში მუშაობაც, ქალს საკუთარ ოჯახს აშორებს!“

ნაპოლეონის დროს ქალთა მოძრაობა მიყუჩდა, ხოლო რესტავრაციამ იგი თითქმის სულ მოსპო. წარსულ საუკუნის შუა წლებში, ეგრედ წოდებულ ქალთა ემანსიპაციის ხანაში, ლიტერატურაში ხელახლად აღიძრა ქალთა მოძრაობაზე ლაპარაკი. მწერალი ქალი ჟორჟ ზანდი, ლაბულე და ლეგუვე მძლავრი დამცველები იყვნენ დედაკაცის უფლებისა. მაგრამ მეორე რესპუბლიკის დროს, ნაპოლეონ მე-III ის გავლენით, ისევ მიყუჩდა აგიტაცია ქალთა სასარგებლოდ. მეორე იმპერიის დროს ქალთა მოძრაობა მხოლოდ

იმაში გამოიხატა, რომ დაარსდა რამდენიმე საქალებო „კურსები“ (ეხლანდელი გიმნაზიები), რომელთაც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანეს საფრანგეთის ქალებს, რომელნიც იმ დროამდის მხოლოდ იეზუიტურ მონასტრებში იღებდენ განათლებას.

ინგლისს პირველობა ეკუთვნის ქალთა მოძრაობის ისტორიაში. ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნეში „რობინზონ კრუზოს“ ავტორმა დანიელ დეფოემ გამოსცა შესანიშნავი პამფლეტი ქალების უფლებათა დასაცავად, რომელმაც დიდი აყალ-მაყალი და მითქმა-მოთქმა ასტეხა მთელ ინგლისში. მას აქეთ მოძრაობა ხან სუსტდებოდა და ხან ძლიერდებოდა, მაგრამ გარკვეული კალაპოტი მიიღო მხოლოდ წარსულ საუკუნის მეოცე წლებში, როდესაც, ხანგრძლივ რეაქციის შემდეგ, ლიბერალიზმმა გაიმარჯვა და ქალთა საკითხიც ხელმეორედ გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. მესამოცე წლებში ქალთა მოძრაობა გამარჯვების გზას დაადგა; გამოვიდა სპეციალური ჟურნალი, რომელიც დღესაც გამოდის, და დაარსდა კერძო საქალებო სასწავლებლები. მე-70 წლებში დაარსდა უმაღლესი საქალებო სასწავლებელი, განსაკუთრებული საზოგადოებანი, რომელთაც სქესთა პოლიტიკურ თანასწორობის მოპოვენა ჰქონდათ მიზნად, და საზოგადოებრივი აზრი შესამჩნევად გადიხარა ქალებისაკენ. ქალთა მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა განთქმულმა ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა ჯონ სტიუარტ მილლმა, რომელიც ლონდონის საქალებო საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლებოდა მეოთხმოცე წლებში ქალთა მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. გათხოვილ ქალების უფლებები გაფართოვდა, საზოგადოებრივ და ადგილობრივ დაწესებულებებში დედაკაცმაც შესდგა ფეხი.

ამერიკაში ქალთა მოძრაობამ პირველად თავი იჩინა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. ამერიკის განთქმულ რევოლუციაში დედაკაცს დიდი წილი უდევს. რევოლუციის გათავების შემდეგ, როდესაც დაიწყო ხანა აღორძინებისა და სახელმწიფოს მოწყობისა, ქალები არ დაივიწყა მხოლოდ ნიუ-ჯერსის შტატმა, რომელმაც საერთო წარმომადგენელთა არჩევაში დედაკაცსაც ისეთივე უფლებები მიანიჭა, როგორიც მამაკაცს ჰქონდა. სხვა შტატები ასე შორს არ წავიდნენ და ცოტაოდენ რეფორმებით ჩააჩუმეს ამერიკელი ქალები. მხოლოდ ეს იყო დროებითი ჩაჩუმება, ვინაიდან ქალთა მოძრაობა ამერიკაში შემდეგაც არ დამცხრალა. გამუდმებულ ბრძოლით ამერიკელმა ქალმა მე-XIX საუკუნეში ისეთი უფლებები მოიპოვა და იმდენად გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა, რომ ევროპიელი ქალი გაცილებით შორს ჩამორჩა მას და დღესაც ვერ დასწევია თავის ამხანაგს*).

სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ დედაკაცის მოქალაქობრივი უფლებანი, რომელნიც შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვა და სხვა სახელმწიფოებში. მარტო გერმანიის კანონმდებლობამ შეიმუშავა ასამდე მაგალითი ქონებრივ ურთიერთობისა მეუღლეთა შორის. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდის დედაკაცი გათხოვების შემდეგ ჰკარგავდა ყოველგვარ უფლებას. იმ დროს ინგლისში ქმარი და ცოლი იურიდიულ ერთეულს წარმოადგენდენ. ქმარს ნება არ ჰქონდა ცოლისთვის ეჩუქებინა რამე, ან რაიმე ხელშეკრულება დაედო მასთან, რადგან თავის თავთან ხელშეკრულების დადება არ შეიძლებაო. თუ ქალი გათხოვებამდის ვალს დაიდებდა, გათხოვების შემდეგ ეს ვალი ქმარს უნდა გაესტუმრებინა. ერთის სიტყვით ცოლის პიროვნება იურიდიულად გაუქმებული იყო ქმრის უფლებებით. შემდეგში, 1870 და 1882 წლების კანონებით, დედაკაცის მდგომარეობა ინგლისში არსებითად შეიცვალა. ის კანობები, რომელნიც დედაკაცის უფლებებს ზღუდავდენ, თანდათან გაუქმეს და ქმრიანი დედაკაცი ქმრის მზრუნველობისგან გაანთავისუფლეს. საგულისხმო ის არის, რომ დედაკაცი არა თუ გაანთავისუფლეს,—ქმართან შედარებით, უპირატესობის მქონეც გახადეს. მაგალითად: თუ გასათხოვარმა ქალმა ვალი დაიდო, გათხოვების შემდეგ მისი ქმარი მოვალეა ეს ვალი გაისტუმროს. ამავე დროს თუ ქმარს ვალი დაედო, მევალე იმის ცოლის ქონებას ხელს ვერ ახლებს, თუნდაც დამტკიცდეს, რომ ვალი ოჯახის საჭიროებისთვის იყო აღებული, მაშასადამე, ცოლიც სარგებლობდა ნასესხით.

ასევე შესამჩნევი ცვლილებები მოხდა ამერიკისა, ავსტრალიისა, კანადისა, შვეიცარიისა და იტალიის დედაკაცთა მდგომარეობაში. უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ყველგან დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ დედაკაცმა და შესამჩნევად გაუმჯობესაა თავის სასარგებლოდ კანონები შესახებ ქონებრივ ურთიერთობისა მეუღლეთა შორის.

აგიტაცია დედაკაცის პოლიტიკურ უფლებების შესახებ ყველაზე ადრე ისევ ინგლისში დაიწყო. 1867 წელს ინგლისის პარლამენტმა განიხილა ჭონ სტიუარტ მილლის მიერ შეტანილი წინადადება ქალთა პოლიტიკურ უფლებების შესახებ და 196 ხმის უმეტესობით წინადმდეგ 73 ხმისა უარჰყო იგი. 1892 წელს პარლამენტმა ხელმეორედ განიხილა ეს საკითხი და ისევ უარჰყო ქალთა უფლების გაფართოვება, მაგრამ ქალთა მომხრე აღმოჩნდა 179 კაცი, წინააღმდეგი კი მხოლოდ 202. 1897 წელს პარლამენტი მესამედ დაუბრუნდა ამ საკითხს. კანონპროექტის ხელმეორედ გადასინჯვის დროს უმეტესობამ 71 ხმით მიიღო ბილლი, მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, კანონპროექტის მესამედ წაკითხვა არ მოხდა და ბილლი კანონად ვერ გადაიქცა. ინგლისელი ქალი დღესაც მონაწილეობას არ იღებს საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ სხვა გვარად სასოფლო, სამოქალაქო და საგრაფოების არჩევნებში იგი მამაკაცთან გათანასწორებულია. მას მინიჭებული აქვს აქტივური და პასივური საარჩევნო უფლება, ე. ი. შეუძლიან აირჩიოს და არჩეულ იქმნას. ეპვს გარეშეა, რომ დღეს თუ ხვალ ინგლისელი ქალი პოლიტიკურად ყოველ მხრივ გაუთანასწორდება მამაკაცს და პარლამენტში ისეთსავე ძალას მოიპოვებს, როგორიც დღემდის მამაკაცებს ეკუთვნოდა.

ამ მხრით ინგლისს არც ნორვეგია ჩამორჩება. ნორვეგიელ ქალს შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს მრავალ სამოქალაქო და საზოგადოებრივ დაწესებულების არჩევნებში. პარლამენტმა რამდენჯერმე განიხილა საკითხი შესახებ იმისა, რომ დედაკაცსაც მიეცეს უფლება პარლამენტის (სტორტინგის) არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და ხმის უმეტესობით დაადგინა დედაკაცის და მამაკაცის პოლილიკურ უფლებების გათანასწორება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონად ვერ გადაიქცა, რადგან ნორვეგიის კონსტიტუციით ასეთ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა პარლამენტის $^{2}/_{3}$—ის თანხმობა.

ამ საქმეში საფრანგეთი და გერმანია ძალიან ჩამორჩენ ინგლისსა და ნორვეგიას. გერმანიაში კანონით დედაკაცს პოლიტიკურ კრებებსა და მიტინგებზე დასწრებაც კი აკრძალული აქვს.

*) ქალთა მოძრაობის შესახებ ამერიკაში იხილე ამ წლის „ივერია“ № 1 „დედაკაცი ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

ქალთა უფლებების გაფართოვების მხრივ ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო ავსტრალიის ფედერაციამ. 1893 წელს ავსტრალიის ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა პარლამენტის წევრთა არჩევნებში და პირველადვე აჯობეს მამაკაცებს: არჩევნებს დაესწრო ქალების 90%, ხოლო მამაკაცებისა 70%. საგულისხმო ის არის, რომ ქალების მონაწილეობამ არჩევნებში არაფრით არ შესცვალა ავსტრალიის პოლიტიკური ცხოვრება და ოთხჯერ მომხდარი არჩევნები (1893, 1896, 1899, 1902 წ.) იმავე ლიბერალურ მთავრობის სასარგებლოდ გათავდა, რომელმაც პოლიტიკური თანასწორობა მიანიჭა ავსტრალიის ქალებს. 1900 წელს, როდესაც ავსტრალიის კოლონიებმა ფედერაცია შეადგინეს, ქალებს, საფედერაციო დეპუტატების გარდა, საფედერაციო სენატის წევრთა არჩევის უფლებაც მიეცათ. ასე გადაწყვიტა საკითხი ქალთა პოლიტიკურ უფლებების შესახებ თანამედროვე სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო დემოკრატიულმა ავსტრალიამ.

მ. ს.

„ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝ“ ᲨᲘᲨᲘ.

ქუთაისის რკინის გზის სადგურის მე II კლასის ბუფეტში თავი მოეყარა რამდენიმე მგზავრს, რომლებიც ჩვეულებრივად არ ფუსფუსობდნენ, ბარგს არ დასტრიალებდენ და არ ხმაურობდენ. მიდი-მოდიოდნენ მოღუშული სახეებით, ლაპარაკობდენ დაბალის ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გაბმულ მასლაათს სრულიად ერიდებოდენ.

დარბაზში ქალებისა და მამა-კაცების ორივე საპირფარეშო სავსე იყო ხალხით. განიერსა და რბილს, შავი ტყავით გადაკრულ სავარძელში ერთმანეთზე მიჯუჯულიყო რამდენიმე მგზავრი და ეძინათ, ზოგნი სკამებზე სცდილობდენ დაეძინათ, მაგრამ ვერ ახერხებდენ.

ღამის ორი საათი იყო. მგზავრები, ეტყობოდათ, არ ფიქრობდენ არც ქალაქში წასვლას და არც რკინის გზით სადმე გამგზავრებას. რას ნიშნავდა ეს გარემოება?

ყველა იქ დარბაზში მყოფნი მოვიდენ ამ სადგურზე ღამის მატარებლით, ხოლო ქალაქში არ შეეძლოთ წასულიყვენ, რადგან ალყა შემორტყმულ ქალაქის წესები იყო გამოცხადებული და საღამოს 6 საათის შემდეგ არავის არ შეეძლო ქუჩაში გავლა, ვისაც არ უნდოდა სიკვდილი ან პოლიციაში ღამის გათენება. ამიტომ ნება-უნებურად მგზავრებს უნდა გაეთენებინათ სადგურზე და, ვისაც ძილი მოერეოდა, ხმელს სკამზე უნდა ეთვლემნა ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით.

გრძელს მაგიდას აქა-იქ მისხდომოდენ სხვა და სხვა ტანისამოსში გამოწყობილი ქალები და კაცები და ზოგი ჩაისა სვამდა, ზოგი უკვე წაკითხულ გაზეთს კითხულობდა, ზოგიც მაგიდაზე იდაყვ-დაყრდნობილი სთვლემდა. არავინ არავის წინაშე ბოდიშს აღარ იხდიდა და ცდილობდა როგორმე თვითონ მოხერხებულად მოეკალათნა, ძილი მოეხერხებია და, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, ღამე მოსვენებით გაეტარებია.

ქალები ვერ შერიგებოდენ ამ გარემოებას, ერთს ალაგს ვერ ისვენებდენ, ავზნისობდენ და უკმაყოფილო კილოთი ხმა დაბლა რაღაცას ბუტუნებდენ. ბოლოს ერთმა მათგანმა, რომელსაც მხარზე სამოგზაურო „საკ-ვოიაჟი“ ჰქონდა გადაგდებული, ველარ მოითმინა და ხმამაღლად დაიწყო საყვედურები, რომ საპირფარეშო ოთახში „ვიდაცეებმა“ დაიჭირეს ადგილი და გემრიელად დაიძინეს, ისინი კი უნდა ისხდენ მთელი ღამე სკამებზე და თვალიც ვერ მოხუჭონ. შემდეგ მიუბრუნდა გვერდზე მჯდომს გამხდარს, ოდნავ ჭაღარა შერთულ კაცს და გაკაპასებით უთხრა:

— მე ჯერაც ვერ გამიგია, როგორ წამომიყვანე ამ მატარებლით? იცოდი, რომ ქუთაისში ღამე მოდიოდა, იცოდი, რომ აქ ალყა შემორტყმულ ქალაქის წესები იყო შემოღებული და მაინც წამომიყვანე!

— გეუბნები, ქალო, რომ აზრად არ მამივიდა, —დამნაშავის, უკმაყოფილო კილოთი უპასუხა იმან და ისევ გაზეთს დააცქერდა, —აბა, როგორ მოვიფიქრებდი, რომ სადგურიდან სახლში ან სასტუმროში ვერ მოვახერხებდით წასვლას.

— როგორ მოვიფიქრებდი! —გააჯავრა კილოში ქალმა, — უნდა გეფიქრა! უნდა ახლა ასე გავატაროთ მთელი ღამე!

ცოლ-ქმრის „ჩხუბმა“ ცოტა არ იყოს გამოაფხიზლა იქ მყოფი მგზავრები და საშუალება მიეცათ ცოტა ხნით გული გაერთოთ, მაგრამ „ჩხუბი“ მალე შეწყდა და ყველამ ძილისაგან ისევ თავის ქინდვრა დაიწყო.

ქალაქიდან არავითარი ხმაურობა არ მოდიოდა, თითქოს ყველაფერი ღრმა ძილს მისცემია, ან ყველა სულიერი ამოხოცილაო. დრო გამოშვებით ახლოს ისმოდა მხოლოდ ორთქლმავალის წვიალი და კაზაკების ხმაურობა, რომლებიც იქვე, სადგურზე, ვაგონებში ცხოვრობდენ.

გავიდა კიდევ ერთი საათი. ჩამი-ჩუმიც აღარ ისმოდა. უეცრივ კარები საშინელის ბრახუნით გაიღო. ყველა იქ მყოფმა თავები მაღლა აიღეს და შეშინებული თვალები კარებს მიაპყრეს. დარბაზში შემოვიდა სამი ჩოხიანი, მხარზე თოფ გადაგდებული კაზაკი. ეტყობოდათ, ძალზე მთვრალები იყვენ, რადგან ფეხებს ურევდენ, ერთმანეთს აწყდებოდენ და ხმა მაღლა, მაგრამ გაუგებრად ლაპარაკობდენ.

ისინი ცოტა ხანს შეჩერდენ კარებში, მიბნედილი თვალები მოავლეს იქ მყოფთ და ბარბაცით გაემართენ ბუფეტისკენ, სადაც სხვა და სხვა ბოთლებითა და საჭმელებით სავსე დახვაზე სთვლემდა თვით ბუფეტის პატრონს.

კაზაკები მიაწყდენ დახვას და გაჩერდენ. რაღაც გადავარდა და წკრიალი გაიღო, მას მოჰყვა უშვერი ლანძღვა კაზაკისა

გონება დაბნეული ბუფეტის პატრონი ზეზე წამოვარდა და დაფაცურდა, მზად იყო ყოველივე მათი ბრძანები აესრულებია.

— ღვინო! —დაიღრიალა ერთმა მათგანმა და დახვას, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მუშტი დაჰკრა.

პატრონი აკანკალებულის ხელით უსხამდა ღვინოს.

მგზავრთ ძილმა გადაუარა, თვალები მოეწმინდათ და შეშინებულის სახით, გაყურებულნი თვალს ადევნებდნენ მათ მოქმედებას-

კაზაკები აკანკალებულის ხელით იღებდენ ღვინით სავსე ჭიქებს, სანამ პირამდე მიიტანდენ, აქცევდენ, ხელებსა და ტანისამოსზე იღვრიდენ, ცარიელ ჭიქებს დახვაზე ბრახუნით სდებდენ.

— დაასხი კიდევ, ეშმაკის კერძო!

დრო გამოშვებით ისინი გადახედავდენ ხოლმე მგზავრებს. მაშინ მგზავრები თავს გვერდზე მიიღებდენ და ძირს დახრიდენ ხოლმე.

ბუფეტის პატრონი ყოველის ღონისძიებით ცდილობდა ესიამოვნებინა, არ ზოგავდა ძვირფას სასმელებს, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმრები ყოველ სიტყვას ზედ უშვერ ლანძღ-

ვას ურთავდენ. ბოლოს ერთმა მათგანმა დაუწყო ყვირილი მებუფეტეს:

— შენ რევოლუციონერებს ხელს აფარებდი, განა? აქ მიტინგებს მართავდით, არა? აი შე... ამ სიტყვებით თოფი გადმოიღო და კონდახი მოუღერა, მაგრამ ბუფეტის პატრონი დაიკუზა და დაზგას ამოეფარა. კონდახი მოხვდა ბოთლებს და ზრიალი მოიღო. მეორე შემოქნევაზე პატრონი გავარდა უკანა კარებში და მიიმალა. კაზაკებმა, ზოგმა სამი, ზოგმა ოთხი მაგარ სასმელების ბოთლები ჩაიწყვეს ჯიბეებში და ბარბაცით კარში გავიდენ.

მათი გასვლა იყო კარებში და მგზავრებმა ენა ამოიდგეს. ასტყდა ლაპარაკი და ხმაურობა. ყველა აღშფოთებული იყო ნანახით და აღელვებულის ხმით ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდენ.

— რა უბედურებაა! ეს ხომ სიმხეცეა?!

— სრული თვითნებობაა!

— თავს არიან გასულნი!

— კანა შესაძლებელია ასეთი აღვირ-წახსნილობა.

ყველაზე მეტად ცხარობდა მხარზე „საკ-ვოიაჟ“ გადაგდებული ქალი:

— ალბად უფროსებმა არ იციან, რა სისაძაგლეს ჩადიან მათი ხელქვეითები. ეს ნამეტანია, არ გვეყოფა, რომ დატუსაღებული ვართ ამ ოთხ კედელს შუა და მთელი ღამე ტანჯვით უნდა გავატაროთ,—იძულებულნი ვართ ამ საზიზღარ სცენებსაც ვუყურ-ოთ!

მოლაპარაკეებთან ერთად ბუფეტის პატრონი და ლაპარაკში ჩაერია:

— ეს მესამე თვეაჭამ მდგომარეობაში ვარ, დალევით დალიონ, რამდენიც უნდათ,—როგორ დავუშლი,—მაგრამ ყველაფერს ამტვრევენ, აღარასფერი არა შემარჩინეს რა, ჭიქები აღარ მაქვს რომ, მგზავრებს მივუტანო.. დაითვრებიან, რევოლვერებს ისვრიან, აი შეხედეთ, ჭერი მთლად დახვრეტილია.— ბუფეტის პატრონმა აიხედა მაღლა და მიუშვირახელი მგზავრებს წერტილებზე, რომლებიც თეთრად შეღებილ ჭერზე შავად მოსჩანდენ.

კარები კიდევ გაიღო, ბარბაცით შემოვიდა ერთი კაზაკი უამხანაგებოდ და ისევ ბუფეტისაკენ გაეშართა, მაგრამ „საკ-ვოიაჟიანმა“ ქალმა აღარ დაიცადა, წინ გადაეღობა და შეაჩერა.

— სად მიხვალ? მთვრალი ხარ, წადი დაიძინე!—გაჯავრების კილოთი დაუწყო ქალმა: რად გაწუხებთ? სირცხვილი არ არის, ითვრებით, სისაძაგლეს ჩადიხართ! მე ვიცნობ თქვენს უფროსებს, აი ხვალვე ვნახავ და ყველაფერს ვეტყვი, ყველაფერს!..

კაზაკი ერთს ალაგას ქანაობდა და ქალის ლაპარაკს დაუყენებლივ თვალებით უგდებდა ყურს. ბოლოს, როდესაც ქალმა ლაპარაკით გული ჰოიოხა, კაზაკმა სთქვა: —ააა, თქვენც აგრე? მაშ კარგი! ამ სიტყვებით გატრიალდა და ჩქარის ნაბიჯით კარში გავიდა.

ქალმა და დანარჩენმა მგზავრებმა თვალი გაადევნეს კაზაკს შემდეგ ერთი ერთმანეთს შეხედეს. კაზაკის მუქარა კარგს არაფერს მოასწავებდა, ყველას შიში აეძრა გულში და დამნაშავეს მტრულის თვალით შეხედეს.—ყველა უბედურება ქალიდან წარმოსდგება! გიფიქრეს მამაკაცებმა და კარებს თვალს არ აშორებდენ.

ყველა გრძნობდა, რომ რაღაც საფრთხე მოელოდა, მაგრამ, რაში გამოიხატებოდა იგი, არავინ იცოდა

დრო გადიოდა. მყუდროებას არაფერი არღვევდა, მგზავრები თან და თან დამშვიდდენ, ისევ ისე მიუსხდენ მაგიდას და ისევ ისე თვლემა დაიწყეს.

უცბად რაღაცამ იჭექა. მგზავრები დაფეთებულნი წამოცვივდენ ზეზე და კარებს მიაჩერდენ. მათ წინ დაეხატათ შემდეგი სურათი: კარებში იდგა შუა ტანის სქელი კაცი, რომელსაც ღილებ გახსნილი ახალუხა ეცვა, უკან მოსდევდა რამდენიმე კაზაკი. ცალ ხელში რევოლვერი ეჭირა, ცალი ხელით კარებს მიყრდომოდა და მოღუშულის, სასტიკის სახით მგზავრებს ათვალიერებდა.

მგზავრებს შიშით პირები დაეღოთ, თვალები გასდიდებოდათ და ერთს ადგილს ეძრავად იდგენ.

აფიცერმა წამოსდგა წინ ორი ნაბიჯი, გაიჭიმა, როგორც გაიჭიმება ხოლმე მამალი, როდესაც „ყიყლიყო“-ს დაძახებას დაეპირება, და მძლავრის რიხიანის ხმით დაიძახა:— смирнаа!

დარბაზში ადამიანი აღარ ჩანდა, ზოგი მაგიდის ქვეშ შეძვრა, ზოგი სკამისა, ზოგიც პირდაპირ იატაკზე გაინართხა. რამდენიმე ქალს გული შეუწუხდა და სკამზე გადაესვენა.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა! გადიხარხარა აფიცერმა, რევოლვერი დაუშვა, წელში ჩაიკეცა და მხლებლებს მიუბრუნდა.

— Хватитъ! пойдемъ, братцы!—ამ სიტყვებით აფიცერი გატრიალდა და თან კაზაკებიც გაჰყვენ.

მგზავრები გონს მოვიდენ და ქალების მობრუნებას მიჰყვეს ხელი .. **სგ. ყიფიანი.**

რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი**
გამომცემელი **თ-დი პავლე ი. თუმანიშვილი.**

მოსითხოვეთ ნამდვილი

„ოდოზრინი“ მ. ვ. ლეგედეკისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბეპერას და მეტ-ხარცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)